# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 21 თებერვალი 2003 №29 (1800) | ფასი 50 თეთრი

# ჯერ მშვიდი, მერე შვიდი

## UEFA CUP პორტუგალიური შაშ:იაქი თურქებს



REUTERS ფოტოები

ლაციო — ვისლა 3:3. ენრიკო კიეზას ამ დარტყმამ წონასწორობა საბოლოოდ აღადგინა



გუშინ ესპანელებმა თბილისურ თოვლ-ჭყაპში უიმედოდ ივარჯიშეს

# 70/30

## ესპანელებმა შანსები გაანაწილეს

20 % ჰომოსექსუალისტი,
20 % ნარკომანი ან ლოთი,
40 % ფეხბურთელი,
20 % გულგრილი

## ვინდა ითამაშოს რაგბი?



REUTERS ბერლინიდან

ჰერტა — ბოავიშტა. ამ ბერლინელ ჭომაგს ომი არ უნდა და რას ერჩი...



REUTERS ოსერიდან

ოსერი — ლივერპული. აყლაყუდა სემი ჰიპიამ მაინც გაიტანა


REUTERS რომიდან

ლაციო — ვისლა. კალუ უჩეს საგოლე მალაყი

# უეფას თასი 2002-2003

## UEFA CUP მერვედფინალი. პირველი მატჩები UEFA CUP

### ჰერტა (გერმანია) 3:2 ბოავიშტა (პორტუგალია)

1:0 ალვეში (15), 1:1 რუი ოსკარი (37), 2:1 ალვეში (43), 2:2 ალეშანდრე (80), 3:2 ვან ბურიკი (90)
**ჰერტა:** კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ჰარტმანი (მადლუნგი 46), მარქსი, დარდაი, მარსელინიო, გოორი (რ. პინტუ 81), ალვეში (ლუიზაო 78), პრეეცი
**მწვრთნელი:** ჰუუბ სტევენსი
**ბოავიშტა:** რიკარდუ, რუი ოსკარი, მარტელინიუ (ბოსინგვა 88), პაულუ ტურა, ე. ლიმა (ალეშანდრე 73), ედერი, პედრუ სანტუში, ავალოსი, ფილიპე, პედროსა, ელპიდიუ სილვა (სემედუ 46)
**მწვრთნელი:** ჟაიმე პაშეკუ
**გაფრთხილება:** ედერი, ალვეში, მარქსი, რუი ოსკარი
**მსაჯი:** გრემ ბარბერი (ინგლისი)
14 000 მაყურებელი

### პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 3:0 ანდერლეხტი (ბელგია)

1:0 ოლისადებე (12), 2:0 ლიბეროპულოსი (62), 3:0 ოლისადებე (73)
**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, ფისასი, კოლკა (გუმასი 78), მიკაელსენი, კარაგუნისი (პ. კონსტანტინიდისი 83), ბასინასი, ლიბეროპულოსი (ვარჟიხა 87), ოლისადებე
**მწვრთნელი:** სერხიო მარქარიანი
**ანდერლეხტი:** ზიტკა, ა. ილიჩი (დოლი 46), დე ბუკი, კრასონი (დინდანე 73), ტიჰინენი, ლოვრე, ვანდერეგე, ჰენდრიქსი, ბასეჯიო, იესტროვიჩი (მორნარი 78), სეოლი
**მწვრთნელი:** უგო ბროოსი
**გაფრთხილება:** კრასონი
**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
16 000 მაყურებელი

### სლავია (ჩეხეთი) 1:0 ბეშიქთაში (თურქეთი)

1:0 ტ. დოშეკი (62)
**სლავია:** ჩერნი, ლ. დოშეკი, მ. მიულერი, პეტროუში, ბეიბლი, პიტაკი, რ. დოშტალეკი, გედეონი, სკაჩელი (ჰრდლიჩკა 87), ტ. დოშეკი (ადაუტო 81), ვახოუშეკი (კუკა 74)
**მწვრთნელი:** მიროსლავ ბერანეკი
**ბეშიქთაში:** კორდობა, ძაგო, თოლგა, ტაიფური, ილდირიმი (სერგენი 42), რონალდუ, დურსუნი, იბრაჰიმი, იასინი, კაანი (ნუმა 78), პანჩუ
**მწვრთნელი:** მირჩა ლუჩესკუ
**გაფრთხილება:** ძაგო, ტ. დოშეკი
**გაძევება:** ძაგო (84)
**მსაჯი:** არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
12 375 მაყურებელი

### ოსერი (საფრანგეთი) 0:1 ლივერპული (ინგლისი)

0:1 ჰიიპია (73)
**ოსერი:** კოლი, რადეტი, ბუმსონგი, მექსეში, ჟაური, ლაშუერი, ტაინიო, ფეიე, ფადიგა, მატისი, მვარუვარი
**მწვრთნელი:** გი რუ
**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი, ანშო (დიაო 69), ჰიიპია, რიისე, ჯერარდი, ტრაორე, მერფი, დიუფი, ოუენი (ბაროში 90), ჰესკი
**მწვრთნელი:** ჟერარ ულიე
**გაფრთხილება:** დიუფი
**მსაჯი:** მასიმო დე სანტისი (იტალია)
22 000 მაყურებელი

### ლაციო (იტალია) 3:3 ვისლა (პოლონეთი)

1:0 ლაზეტიჩი (39), 1:1 უჩე (39), 2:1 ჟოპი (44ს.კ.), 2:2, 2:3 ჟურავსკი (49პ, 63პ), 3:3 კიეზა (71)
**ლაციო:** მარკეჯანი, ოდო, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, პანკარო, ლაზეტიჩი (სეზარი 60), დ. ბაჯო (დ. სტანკოვიჩი 73), ლივერანი, სიმეონე (კ. ლოპესი 55), ფიორე, კიეზა
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
**ვისლა:** პუგესი, ბესჩინსკი, გლოვაცკი, ჟოპი, სტოლარჩიკი, უჩე, სტრაკი, კანტორო (სიმკოვიაკი 75), კ. კოსოვსკი, კუჟბა, ჟურავსკი (დუბიცკი 77)
**მწვრთნელი:** ჰენრი კასპერჩაკი
**გაფრთხილება:** ბასჩინსკი, კანტორო, მარკეჯანი, პანკარო
**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)
20 000 მაყურებელი

### სელტიკი (შოტლანდია) 3:1 შტუტგარტი (გერმანია)

0:1 კურანი (27), 1:1 ლამბერტი (36), 2:1 მელოუნი (45), 3:1 პეტროვი (68)
**სელტიკი:** დუგლასი, მაკნამარა, ვალგაერენი, ბალდე (უ. ლაურსენი 87), მელოუნი, ლამბერტი, ა. ტომპსონი (ჯ. სმიტი 68), აგათი, ს. პეტროვი, სატონი, ლენონი
**მწვრთნელი:** მარტინ ონილი
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, ბორდონი, მეირა, მაისნერი (აუნდიო 76), გერბერი, სოლდო, გლები (კარნელი 50), ბალაკოვი, ამანატიდისი (დანგელმაირი 19), კურანი
**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი
**გაფრთხილება:** მეირა, მაისნერი
**გაძევება:** ბორდონი (17)
**მსაჯი:** პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
59 000 მაყურებელი

### მალაგა (ესპანეთი) 0:0 აეკ (საბერძნეთი)

**მალაგა:** კონტრერასი, ხოსემი, ლიტოსი, როტეტა, ვალკარსე, მანუ, ხერარდო, მ. რომერო, მუსამპა (კანაბალი 82), დარიო სილვა, დელი ვალდესი
**მწვრთნელი:** ხოაკინ პეირო ლუკასი
**აეკ:** ხიოტისი, ბორბოკისი, კოსტენოღლუ, რაიტი, კასაპისი, ლაკისი (ს. კონსტანტინიდისი 90), კრეეკი, ზაგორაკისი, მალადენისი, ნალიცისი (ცარტასი 46), ნიკოლაიდისი (ივიჩი 82)
**მწვრთნელი:** დუშან ბაევიჩი
**გაფრთხილება:** კრეეკი, დარიო სილვა
**მსაჯი:** ჟელკო სირიჩი (ხორვატია)
6 000 მაყურებელი

### პორტუ (პორტუგალია) 6:1 დენიზლისპორი (თურქეთი)

1:0 ნუნუ კაპუშუ (48), 2:0 დერლეი სილვა (53), 3:0 რიკარდუ კოშტა (64), 4:0 იანკაუსკასი (69), 5:0 დეკო სოუზა (75), 5:1 კრატოხვილი (78), 6:1 ალენიჩევი (82)
**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რიკარდუ კოშტა, მარიუ სილვა (ნუნუ ვალენტე 46; ტ. ფერეირა 58), მ. რიბეირუ, დეკო სოუზა, ალენიჩევი, დერლეი სილვა, ნუნუ კაპუშუ, იანკაუსკასი (პოსტიგა 72)
**მწვრთნელი:** ჟოზე მურინიუ
**დენიზლისპორი:** ჰაინენი, ჰაქანი, ჰეიტანენი (ოზგური 73), კრატოხვილი, ჩეთინი, სერდალი (ერთუღრული 52), კარამანი, თანდოგანი, კაბატი, ერსენი (ბენჩიკი 57), მუსტაფა
**მწვრთნელი:** რიზა კალიმბეი
**გაფრთხილება:** მარიუ სილვა, კრატოხვილი, ჟორჟე კოშტა, ჩეთინი, ერსენი, თანდოგანი, მუსტაფა, პ. ფერეირა
**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
21 500 მაყურებელი

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# რუსების თავგადასავალი იტალიაში



რუს მცველებთან ჭიდილში რივალდოს ქანცი გასძვრა

REUTERS მომოწოდება

**მილანი 1:0 ლოკომოტივი**

**1:0 ტომასონი (62)**

**მილანი: დიდა, ბროკი (შიმიჩი 80), ნესტა, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, პირლო, რუი კოშტა (სერჟინიო 63), რივალდო, ინძაგი, ტომასონი (ზეედორფი 68)**

**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**

**ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი (პარკსი 83), პაშინინი, სენიკოვი, ობრადოვიჩი, მამინოვი, ლოსკოვი, პიმენოვი, ბუზნიკინი (იზმაილოვი 46)**

**მწვრთნელი: იური სიომინი**

**გაფრთხილება: ობრადოვიჩი, ლეკხეტო**

**მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)**

**72 028 მაყურებელი**

**მატჩის წინ** მილანელის ბაზიდან ინფორმაციამ გაჟონა, ანდრეი შევჩენკო, კახა კალაძე და მასიმო ამბროზინი დაშავებულები არიანო. „ლოკომოტივი" ამ ცნობას ეჭვით შეხვდა, რადგან რამდენიმე დღით ადრე სერია A-ში „ლაციოსთან" შეხვედრა შევჩენკომ და ამბროზინიმ სრულად ჩაატარეს და მხოლოდ კალაძე შეიქნა შესაცვლელი პირველი ტაიმის შემდეგ. ისიც კი ითქვა, ანჩელოტი შევჩენკოს და ამბროზინის მომდევნო ტურში, „ტორინოსთან" მატჩისთვის ასვენებსო.

ასეა თუ ისე, „მილანის" სასტარტო შემადგენლობა ექსპერიმენტული გამოდგა. ამ სეზონში აქამდე ტომასონი, ინძაგი, რივალდო და რუი კოშტა ერთდროულად მოედანზე ერთხელაც არ ყოფილან. მცირე სიურპრიზი იყო ბროკის მარჯვენა მცველად გამწესებაც. „ლოკომოტივის" ჩვეულ სქემაშიც ერთი გადაადგილება მოხდა: იგნაშევიჩმა საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა, თუმცა იური სიომინის ეს ვარიანტი საქმეში უკვე გამოცდილი ჰქონდა — ამგვარად მოთამაშე „ლოკომ" ლიგის პირველ ეტაპზე სტამბოლში „გალათასარაი" დაამარცხა.

თამაში მეტად დაბალ ტემპში დაიწყო და „სან სიროს" ტრიბუნებზე ამტყდარი პირველი ყიჟინი სულ სხვა ამბავს უკავშირდება: როცა გამოაცხადეს, რომ მანჩესტერში „იუვენტუსმა" სწრაფი გოლი გაუშვა, „მილანის" ფანობამ ბოროტად გაიხარა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი „სან სირო" უკვე უკმაყოფილოდ აგუგუნდა — მაქსიმ ბუზნიკინმა რუსლან პიმენოვთან მარტივი კომბინაცია გაითამაშა და დიდას სიმტკიცე შეამოწმა. ამის მერე ყურადღების ცენტრში მოპირდაპირე კარში მდგომი ოვჩინიკოვი აღმოჩნდა. მართალია, მილანელთა დარტყმების დიდი ნაწილი კარს სცდებოდა, მაგრამ რუსთა მეკარე რამდენიმე ეპიზოდში ნაღდად გმირულად გაისარჯა.

მილიანობაში „მილანი" სულაც არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც მედგარი ბრძოლა გაუმართა „ლაციოს". მასპინძლები მეტისმეტად ფრთხილობდნენ და მხოლოდ ჯენარო გატუზო იყო ჯაჭვით დასაბმელი, რომელიც ისე დაჰქროდა, ერთ ეპიზოდში ლოსკოვს კაპიტნის სამკლაურიც კი მოგლიჯა. მაგრამ გატუზომ თანაგუნდელთა გამოღვიძება პირველ ტაიმში ვერ შეძლო. ხუმრობა ხომ არ არის, შესვენებამდე მასპინძლებს ერთი ხეირიანი მომენტიც არ ჰქონიათ. ყველაზე სახიფათო ინძაგის თავური გახლდათ და ისიც ოფსაიდიდან.

ერთი სიტყვით, მოედანზე ბევრიც არაფერი ხდებოდა და მაყურებელმა მოიწყინა. ხალხი იმის იმედადლა იყო, მეორე ტაიმს „მილანი", როგორც სჩვევია, უფრო ძლიერად ჩაატარებსო.

შესვენების შემდეგ სიომინმა ბუზნიკინი იზმაილოვით შეცვალა, რამაც თითქოს გაამართლა — ახალშესულმა ერთბაშად სამი მილანელი მოატყუა, მაგრამ ამის მერე ღირებული არაფერი გაუკეთებია. „მილანმა" კი ტემპი გაზარდა და სტუმართა საჯარიმოს მიეძალა.

ოვჩინიკოვის კართან რამდენიმე ისეთი მომენტი შეიქმნა, გოლი თითქმის გარდაუვალი რომ ჩანდა. მაგრამ რად გინდა, ლეკხეტომ რივალდოს სახიფათოდ ჩაწოდებული ბურთი დროულად მოიგერია, პაშინინმა იონ დალ ტომასონს კარის სიახლოვეს ბურთი აწაპნა, მანვე დროულად დაუხვედრა ფეხი იმავ ტომასონის დარტყმულს.

და მაინც, გოლი მწიფდებოდა და გავიდა კიდეც. მანუელ რუი კოშტამ ცენტრიდან ჩააწოდა სიჩქარეაკრეფილ ინძაგის, იტალიელმა ფორვარდმა, რომელიც პასის მომენტში თამაშგარეს ზღვარზე იმყოფებოდა, ბურთი დაამუშავა და ლონივრად დაარტყა. ოვჩინიკომა შესაშური რეაქციით უკუაგდო ბურთი, მაგრამ ტომასონმა მიასწრო და ცარიელ კარშიც რომ ვერ გაეტანა, სირცხვილი იქნებოდა.

ამის მერე „მილანი" დაცხრა და თამაში ნაღდ იტალიურ სტილში გააგრძელა, ანუ გოლამდეც ხომ ფრთხილობდა და დაწინაურების მერე უფრო მეტად ზრუნავდა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე. მაგრამ „ლოკომოტივმა" მასპინძელთა უკან დახევით ვერ ისარგებლა. ეგ კი არა, ბოლო წუთზე ინძაგის მეორე გოლის გატანა მართებდა და მაინცდამაინც მეკარეს გაარტყა.

ამგვარად, „ლოკომოტივის" მეოთხედფინალში გასვლის შანსი მეტისმეტად საეჭვოდ გამოიყურება, პირველი წრის შემდეგ ერთადერთი ქულა ვინძლო მალიან ცოტა იყოს. თუმცა ერთიცაა — პირველ ჯგუფურ ეტაპზეც პირველი წრის შემდეგ რუსებს ერთი ქულა ჰქონდათ.

პირველი ეტაპის მსგავსად ირჯება „მილანიც". მაშინაც და ახლაც, „შავწითლებმა" საწყისი სამი თამაში მოიგეს.

კარლო ანჩელოტიმ კი თქვა: „უფრო მაღალ ტემპში თამაში გვმართებდა, მაგრამ ცხრილს რომ ვუყურებ, კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, მომდევნო ტურშიც მოვიგებთ და თავს მეოთხედფინალში დავიგულებთ".

ბოლოს ერთ რეკორდზეც ვთქვათ. ევროთასებზე ჩატარებული მატჩების რაოდენობით „მილანის" კაპიტანი პაოლო მალდინი სრულიად იტალიური რეკორდის მფლობელ ჯუზეპე ბერგომის გაუთანაბრდა. „ლოკომოტივთან" მატჩი მალდინისთვის 117-ე საევროთასო იყო: მოგეხსენებათ, მალდინი „სკუადრა აძურაში" ნათამაშები მატჩებითაც რეკორდსმენია, 126 კეპი აქვს. ასე რომ, ერთი სალიგო მატჩიც და დიდი ინტერელი ბერგომი ექს-რეკორდსმენად იქცევა.

**გიორგი დარჯანია**

# ზამერმა იმედი ვერ გათვალა



რაულმა მანამ არ მოისვენა, სანამ დაწინაურებულ „დორტმუნდს" არ გაუტანა

REUTERS მომოწოდება

**რეალი 2:1 დორტმუნდი**

**0:1 კოლერი (30), 1:1 რაული (43), 2:1 რონალდო (56)**

**რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, კონსეისაო, მაკელელე, ზიდანი (სოლარი 81), რაული, რონალდო (გუტი 74)**

**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**

**დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი (რიკენი 83), მეცელდერი, ვოორნსი, დედე, ევერტონი, როიტერი (კელი 76), ფრინგსი, როსიცკი, ამოროზო (რეინა 87), კოლერი**

**მწვრთნელი: მათიას ზამერი**

**გაფრთხილება: ფრინგსი, ევანილსონი, კონსეისაო, კელი**

**მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)**

**60 000 მაყურებელი**

**რა მტკიცება** უნდა, რომ წაგების, თუნდაც ფრის შემთხვევაში, „რეალი" საეჭვოდ გაიხდიდა ჯგუფიდან გასვლას და ამიტომაც მთელი ძალით ეკვებოდა „დორტმუნდის" საჯარიმო მოედნის ატალახებასა და კარის დაწიოკებას. მტკიცება არც იმას უნდა, რომ მათიას ზამერს ეს ამბავი გათვალისწინებული ექნებოდა და სათანადო ტაქტიკასაც დაამუშავებდა გერმანელებმა იმთავითვე აგრძნობინეს მასპინძლებს, იოლ გამარჯვებას ლანგრით არ მოგართმევთო და კარგადაც გაისარჯნენ — მაქსიმალური ეფექტურობით ჰკვეთდნენ ლუიშ ფიგუსა და ზინედინ ზიდანის მიერ ფორვარდთა საგოლე პოზიციაზე გაყვანის მცდელობებს და საპასუხოდაც მწარედ იჩხვლიტებოდნენ.

პირველი სახიფათო მომენტი მაინც „რეალმა" შექმნა. რობერტო კარლოსის ყუმბარა-დარტყმას მცველი გადაეფარა, რაულმა კი როგორღაც შეძლო ბურთის მოხელთება, კარისკენ გაიჭრა და უბედობით პირდაპირ იენს ლემანს გაარტყა. ამის მერე ესპანელები ორჯერ ითხოვდნენ პენალტის დანიშვნას — ცხადია, თავის სასარგებლოდ: თავდაპირველად მიჩელ სალგადო წაიქცა თუ წააქციეს საჯარიმოში, მერე კი რაულმა ჩათვალა, საგოლედ ფეხი მოჭნეული მქონდა, როცა დამქაჩესო.

თუმცა, მასპინძლებმა მაინც ვერ მოახერხეს გარდამტეხი უპირატესობის ხელში ჩაგდება და თავად გატყდნენ — სტუმრებმა ანგარიში გახსნეს. ჩეხმა ტომაშ როსიცკიმ გრძელი პასი გაუჭრა თანამემამულე იან კოლერს. ახმახმა ბურთთან პირველი შეხებით ფრანსისკო პავონი ჩამოიცილა, მეორე შეხებით კი იკერ კასილიასს შორეულ კუთხეში ჩაუჭედა. კოლერმა დაახლოებით 18 მეტრიდან დაარტყა.

შვიდიოდ წუთში მასპინძლებს გათანაბრება მართებდათ. ლუიშ ფიგუმ, კოლერის მსგავსი პოზიციიდან დაარტყა და ხარიხას გაარტყა. მცირე ხანიც და, ლემანმა რონალდოს ახლო მანძილიდან დარტყმული აიღო.

თუმცა „დორტმუნდს" მაინც არ ეწერა შესვენებაზე გამარჯვებული გასვლა. რაული, ვინაც დამხვდურთაგან ყველაზე აქტიური ფეხბურთელი იყო, მეცელდერთან ჭიდილში წაიქცა. ვითარებაც თითქოს ამით განიმუხტა, მაგრამ იეროს არყოფნაში „რეალის" კაპიტანმა წაქცეულმა შეძლო კარისკენ შებრუნება და ბურთისთვის ფეხის წაკვრა. ლემანი ასეთ რამეს არ ელოდა და ბურთი ფეხებს შორის გაუძვრა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მეტოქეებმა სახიფათო მომენტები გაცვალეს: ლემანმა ეფექტურ ნახტომში მოიგერია რაულის ზედა კუთხეში დარტყმული ბურთი, კასილიასმა კი ფეხი დაუხვედრა ევერტონის დარტყმულს. მერე „რეალმა" მეორეც შეაგდო: სწრაფი კონტრშეტევით ზიდანი საჯარიმოში შეიჭრა, ბურთი შორეულ ძელთან გაგზავნა, სადაც რონალდომ მიუსწრო და მადრიდელთა ჯგუფში მეორე ადგილზე ამოზევებული გაიტანა.

ამის მერე თამაში შედარებით დაწყნარდა. მასპინძლები კვლავაც მეტ დროს ფლობდნენ ბურთს, მაგრამ საგოლე მომენტებამდე საქმე აღარ მისულა. ამასთანავე „რეალს" ფარსავით რამ შეემთხვა — ზიდანი კოჭლობით გავიდა მოედნიდან.

ბოლო წუთზე მადრიდელთა საჯარიმოში ლემანიც ჩავიდა, მაგრამ ბურთი მასპინძლებმა მოიხელთეს და სანამ დორტმუნდელი მეკარე საკუთარ სადარაჯოს დაუბრუნდებოდა, სწრაფი შეტევა მოიწყვეს. ეს იერიში სებასტიან კელმა ყვითელი ბარათის ფასად ჩანასახშივე აღკვეთა.

ვისენტე დელ ბოსკე შედეგით, ცხადია, კმაყოფილი დარჩა, თუმც ისიც აღნიშნა, წინ კიდევ სამი ტურია და კაცმა არ იცის, რა მოხდებაო. ულევაშა მწვრთნელმა თავისი მოსაზრების გასამტკიცებლად ისიც დასძინა, ლიგა ორჯერ მომიგია და წინსვლა რა ძნელია, ჩემზე უკეთ ვინ იცისო.

მათიას ზამერი კი იმედგაცრუებული იყო, დაიჯინა, წასაგები თამაში არ იყოო.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| **რეალი** | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| **დორტმუნდი** | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| **ლოკომოტივი** | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. III ტური. D ჯგუფი

# მარჩელო ლიპის არ სჯერა გრიპის



REUTERS

მოედნის ცენტრში როი კინი და ედგარ დავიდსი ომობდნენ

**მანჩესტერი 2:1 იუვენტუსი**

1:0 ბრაუნი (4), 2:0 ვან ნისტელროი (85), 2:1 ნედვედი (90)

**მანჩესტერი:** ბარტეზი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი (ოში 52), ბექემი, ბათი, კინი, სქოულზი (სოლსკიაერი 80), გიგზი (ფორლანი 90), ვან ნისტელროი

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**იუვენტუსი:** ბუფონი, ძენონი, ფერარა, მონტერო, პესოტო, კამორანეზი, ზალაიეტა, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი, ტრეზეგე (ოლივერა 66)

**მწვრთნელი:** მარჩელო ლიპი

**გაფრთხილება:** დავიდსი, სქოულზი, ტაკინარდი, კინი

**მსაჯი:** კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

66 703 მაყურებელი

„ოლდ ტრეფორდზე“ საკუთრივ შეხვედრის ანგარიშის გარდა, ორი მომენტი გახლდათ საინტერესო. ერთი, ითამაშებდა თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში დევიდ ბექემი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ, „არსენალთან“ წაგების შემდეგ, გასახდელში განრისხებულმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა თავში ბუცი მოარტყა და მეორე, რა დაღი დაასვა ტურინის „იუვენტუსს“ გრიპმა, რომელმაც ინგლისში გამგზავრების წინ ექვსი ფეხბურთელი ლოგინად ჩაუგდო. კითხვებზე პასუხები ასეთი გამოდგა: ბექემმა ითამაშა და ჩინებულადაც — მასპინძლების ორივე გოლში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ტურინელებს გრიპით დაავადებული მოთამაშეების არყოფნა იმდენად არ დასტყობიათ, რამდენადაც ეპიდემიამდე დაშავებული ალესანდრო დელ პიეროს გარეშე ყოფნა დაეტყოთ. სტუმრები „იუნაიტედს“ სუსტი თავდასხმით დაუპირისპირდნენ და ისე გამოვიდა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ნახევარდაცვას თავისი საქმეც უნდა ეკეთებინა და თავდასხმისაც.

„ეჭვიც არ გამჩენია, რომ ბექემი ითამაშებდა — თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფერგიუსონმა — რატომ გეგონათ, რომ იგი არ იქნებოდა? ეს გაუგებრობაა. ჩემი საუკეთესო ფეხბურთელები ყოველთვის გადიან მოედანზე.“

შემდეგ ფერგიუსონმა ბექემის მიერ გამარჯვებაში შეტანილი წვლილი დააფასა, განსაკუთრებით კი მეორე გოლი გამოარჩია.

„ეს ფანტასტიკური იყო — თქვა იმ გუნდის თავკაცმა, რომელსაც ახლა, ტურინში, ერთი ქულაც ეყოფა მეოთხედფინალში ადგილის დასაბევებლად — ბიჭებმა დიდი სამუშაო გასწიეს. ისინი ვალდებულნიც იყვნენ ასე ეთამაშათ. დღეს განსაკუთრებული მოთამაშე არ გვყოლია, ჩვენს გუნდში იყვნენ ისინი, ვინც ერთობლივად შრომის ფასი იცის. დიახ, ჩვენ მართლაც სერიოზულად ვიმუშავეთ და სოლიდურად ვითამაშეთ. საკუთარი თავისა გვწამდა. იმთავითვე გვეტყობოდა, რომ ამ შეხვედრას არ წავაგებდით“.

მეტოქეზე კი შოტლანდიელმა ასე სთქვა:

„შეუძლებელია „იუვენტუსის“ დიდი ტრადიციით არ აღფრთოვანდე. მათ პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ პრობლემებმა ვერ შეაჩერა. ისინი გვებრძოდნენ, გვებრძოდნენ და გვებრძოდნენ. იქნებ უკეთეს შედეგსაც იმსახურებდნენ. ეს იყო დიდი, მაღალი კლასის თამაში“.

„იუვეს“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ კი უპირველესად, ცივად უარჰყო ჭორი იმის შესახებ, თითქოს ექვსი ფეხბურთელის ავადმყოფობის გამო უეფას შეხვედრის გადადებას სთხოვდა.

„მინდა ყველამ კარგად გაიგოს, „იუვენტუსს“ თამაშის გადადება არ უთხოვია. მხოლოდ ის მოხდა, რომ ეპიდემიის შესახებ უეფას ვაცნობეთ და უეფამ იკითხა მატჩის გადავადება ხომ არ გვსურდა“.

ხოლო, თამაშის თაობაზე ლიპიმ ასე ბრძანა:

„უდავოა, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. გუნდი უტეხი და თავდაჯერებული იყო. შევქმენით სახიფათო მომენტებიც, თუმცა, რამდენიმე ეპიზოდში მეტი ყურადღების გამოჩენა გვჭირდებოდა“.

გრიპის გავლენა კი „იუვენტუსის“ თავკაცმა უარჰყო:

„გრიპს გავლენა არ მოუხდენია. ბიჭებმა ითამაშეს თავდადებით, გულით და ტაქტიკურად სწორად“.

ჩვენი მხრიდან მხოლოდ ერთს დავძენდით და, ისიც ძალიან დიდი სიფრთხილით: არ არის გამორიცხული, კარში კიმენტის მაგივრად ლოგინად ჩავარდნილი ბუფონი რომ მდგარიყო, პირველი გოლი არ გაეშვა, თუმცა, „რომ“-ზე რუსებს ერთი ანდაზა აქვთ, ოღონდ უცენზუროა და აქ არ მოვიტანთ.

შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათის მეტოქეები შემდეგ სამშაბათს კვლავ ერთმანეთს შეხვდებიან, ოღონდ ამჯერზე ტურინში.

**პაატუნა ძედია**

**ბაზელი 1:0 დეპორტივო**

1:0 ჰ. იაკინი (30)

**ბაზელი:** ცუბერბიულერი, ჰაასი, ცვისიგი, მ. იაკინი, ატუბა, ბარბერისი, კანტალუპი, ჩიპერფილდი (დურუზი 70), ჰ. იაკინი (ვარელა 85), ხიმენესი, როსი (ჰუგელი 50)

**მწვრთნელი:** კრისტიან გროსი

**დეპორტივო:** ხუანმი, ექტორი, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, სკალონი, დუშერი, დონატო (ტრისტანი 46), სერხიო (აკუნია 82), მაკაი, ლუკე (ამავისკა 64)

**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა

**გაფრთხილება:** ლუკე

**მსაჯი:** რენე ტემინკი (ჰოლანდია)

29 031 მაყურებელი

„ბაზელის“ მწვრთნელმა კრისტიან გროსმა განაცხადა, რომ ზამთრის ხანგრძლივი არდადეგების შემდეგ მისი გუნდის საქმეში ასე დაბრუნებამ ბედნიერების გრძნობა მოჰგვარა. ისე, სხვაგვარად რომ ეთქვა, ალბათ, გასაკვირი იქნებოდა, რადგან „ბაზელმა“, რომელიც, ნუ გვიწყენენ შვეიცარიელები და საფეხბურთო დედამიწას მაინცდამაინც არ ემჩნევა, „დეპორტივო ლა კორუნიას“ მოუგო 1:0.

„ეს საღამო ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო და საგანგებო იყო — თქვა გროსმა, — „დეპორტივოსთან“ რთული მატჩი გადაგვხვდა, ორივე გუნდისთვის დატვირთული, მომენტებით უხვი, რომელშიც ჩემმა ფეხბურთელებმა რაც ვთხოვე, ყველაფერი გააკეთეს“.

ესპანელებთან გამარჯვებამ შვეიცარიის ჩემპიონი D ჯგუფის ფსკერიდან აიყვანა და, სული ცოცხალი, ვინ იცის, მას მეოთხედფინალში გასვლის იმედიც გაუღვივა.

„გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ იმითაც, რომ მან საკუთარი ძალა დაგვიდასტურა, დაგვანახა, რომ კარგ ფორმაში ვართ და ერთი კვირის შემდეგ, ლა კორუნიაში გამგზავრების წინ იმედი ჩაგვისახა“. სტიმული არ გვაკლია, მწამს, შინ, „იუვენტუსთანაც“ ყოჩაღად ვითამაშებთ და მერე ვნახოთ“. — დასძინა მეტისმეტად გათამამებულმა გროსმა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი კი „ბაზელის“ შემტევმა ნახევარმცველმა ჰაკან იაკინმა გაიტანა.

„ვიცოდით, რომ შვეიცარიაში ძალიან მძიმე შეხვედრა გველოდა — თავის მხრივ ასე თქვა „დეპორტივოს“ მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ — ვიცოდით, რადგან მთელ რიგ გარემოებებს თან ცივი ამინდიც ახლდა. „ბაზელი“ თამაშს მომზადებული შეხვდა და უამრავი პრობლემაც შეგვიქმნა, თუმცა ჩემი ფეხბურთელების მოქმედებითაც ამაყი დავრჩი. გოლი პირველ ტაიმში უიღბლობის გამო ვერ გავიტანეთ, მეორეში კი ამ უიღბლობამ გაგვანერვიულა. ვფიქრობ, შედეგი მაინც ყველასთვის მოულოდნელი იყო, თუმცა, ვიმეორებ, ბაზელში ჩამოსვლა და ფეხბურთის თამაში ძნელი საქმეა. აქ კარგი გუნდი ჰყავთ“.

ბუნებრივია, ირურეტას ქულები დაუთვალეს, დარჩენილი თამაშები შეახსენეს და ჰკითხეს — „უკაცრავად და შეჯიბრებიდან ხომ არ გავარდითო.

„ჯერ ყველაფერი წინ არის. ერთი კვირის შემდეგ გამარჯვების ძალა შეგვწევს და დავბრუნდებით იქ, სადაც გვეკუთვნის ყოფნა. ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — უპასუხა მწვრთნელმა. აბა, რას იტყოდა.

ირურეტა მართალი გახლდათ. ჯერ ერთი, ბაზელში ძალიან ციოდა, ტემპერატურა ნულზე ქვემოთ იყო და, მეორე, პირველ ტაიმში მისი გუნდის ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა როი მაკაიმ ორჯერ ვერ გაუტანა მასპინძელთა მეკარე პასკალ ცუბერბიულერს, ხოლო დუშერის დარტყმული კარის ხაზიდან სებასტიან ბარბერისმა გამოიტანა.

საგულისხმოა, რომ „დეპორტივოს“ შემადგენლობაში, ნახევარდაცვის ცენტრში, 40 წლის გაესპანელებული ბრაზილიელი დონატო თამაშობდა. იგი გახლავთ ასაკით მეორე, ვისაც ოდესმე ჩემპიონთა ლიგაში უთამაშია, ხოლო მისი გუნდი შეიქნა ესპანელთაგან პირველი, ვინც ბაზელში წააგო.

**პაატუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| იუვენტუსი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| ბაზელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| დეპორტივო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

# ქინვაგამძლე გროსი და შეციებული ირურეტა



REUTERS

ლიონელ სკალონიმ ტიმოტი ატუბას გზა ჩაუხერგა

# ჩემპიონთა ლიგის სტატისტიკა



ერთ-ერთი ყველაზე უხვგოლიანი მატჩი „ვალენსია“ — „ბაზელი“ იყო

| A ჯგუფი | ბარსელონა | ინტერი | ლევერკუზენი | ნიუკასლი |
|---|---|---|---|---|
| გატანილი გოლი | 18 | 19 | 12 | 8 |
| გაშვებული გოლი | 6 | 11 | 16 | 15 |
| კარში დარტყმა | 47 | 45 | 46 | 51 |
| კარისკენ დარტყმა | 47 | 36 | 62 | 56 |
| ჯარიმა | 140 | 128 | 127 | 159 |
| კუთხური | 46 | 37 | 56 | 56 |
| თამაშგარე | 22 | 29 | 21 | 27 |
| ყვითელი ბარათი | 16 | 17 | 15 | 6 |
| წითელი ბარათი | 0 | 1 | 0 | 1 |

| B ჯგუფი | აიაქსი | არსენალი | რომა | ვალენსია |
|---|---|---|---|---|
| გატანილი გოლი | 9 | 12 | 5 | 18 |
| გაშვებული გოლი | 7 | 5 | 9 | 5 |
| კარში დარტყმა | 33 | 40 | 36 | 66 |
| კარისკენ დარტყმა | 59 | 38 | 59 | 50 |
| ჯარიმა | 180 | 122 | 183 | 132 |
| კუთხური | 39 | 41 | 43 | 47 |
| თამაშგარე | 29 | 30 | 45 | 37 |
| ყვითელი ბარათი | 24 | 5 | 17 | 11 |
| წითელი ბარათი | 3 | 1 | 0 | 2 |

| C ჯგუფი | დორტმუნდი | ლოკ. | რეალი | მილანი |
|---|---|---|---|---|
| გატანილი გოლი | 10 | 8 | 17 | 14 |
| გაშვებული გოლი | 9 | 11 | 10 | 7 |
| კარში დარტყმა | 29 | 42 | 68 | 32 |
| კარისკენ დარტყმა | 49 | 52 | 49 | 38 |
| ჯარიმა | 107 | 144 | 99 | 117 |
| კუთხური | 38 | 31 | 66 | 32 |
| თამაშგარე | 26 | 19 | 24 | 26 |
| ყვითელი ბარათი | 9 | 20 | 10 | 9 |
| წითელი ბარათი | 0 | 1 | 0 | 0 |

| D ჯგუფი | ბაზელი | დეპორტივო | იუვენტუსი | მანჩესტერი |
|---|---|---|---|---|
| გატანილი გოლი | 13 | 13 | 18 | 21 |
| გაშვებული გოლი | 19 | 16 | 5 | 9 |
| კარში დარტყმა | 50 | 46 | 52 | 57 |
| კარისკენ დარტყმა | 33 | 41 | 53 | 38 |
| ჯარიმა | 119 | 117 | 149 | 92 |
| კუთხური | 41 | 41 | 51 | 48 |
| თამაშგარე | 49 | 23 | 31 | 17 |
| ყვითელი ბარათი | 9 | 13 | 13 | 15 |
| წითელი ბარათი | 0 | 0 | 0 | 0 |

### ბომბარდირები

| | | | |
|---|---|---|---|
| კრესპო (ინტერი) | 9 | 655 | 1,37 |
| ინძაგი (მილანი) | 9 | 446 | 2,02 |
| მაკაი (დეპორტივო) | 8 | 655 | 1,22 |
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერი) | 8 | 377 | 2,14 |
| ანრი (არსენალი) | 6 | 662 | 0,91 |

### თამაშგარე

| | | | |
|---|---|---|---|
| კეჟმანი (პსვ ეინდჰოვენი) | 16 | 520 | 3,08 |
| ანრი (არსენალი) | 15 | 662 | 2,27 |
| ინძაგი (მილანი) | 15 | 446 | 3,36 |
| როსი (ბაზელი) | 15 | 581 | 2,58 |
| ვიერი (ინტერი) | 15 | 614 | 2,44 |

### საგოლე პასი

| | | | |
|---|---|---|---|
| რუი კოშტა (მილანი) | 5 | 566 | 0,88 |
| კარეუ (ვალენსია) | 4 | 507 | 0,79 |
| კარიერი (ლიონი) | 4 | 510 | 0,78 |
| ჰ. იაკინი (ბაზელი) | 4 | 681 | 0,59 |
| რაული (რეალი) | 4 | 517 | 0,77 |

### ყვითელი ბარათი

| | | |
|---|---|---|
| კანავარო (ინტერი) | 5 | 339 |
| ლოსკოვი (ლოკომოტივი) | 4 | 624 |
| ოიერი (პსვ ეინდჰოვენი) | 4 | 440 |
| ტაკინარდი (იუვენტუსი) | 4 | 518 |
| ბაშთურქი (ლევერკუზენი) | 4 | 623 |

### კარში დარტყმა

| | | | |
|---|---|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 20 | 655 | 3,05 |
| კრესპო (ინტერი) | 19 | 655 | 2,9 |
| ანრი (არსენალი) | 15 | 662 | 2,27 |
| ს. ანდერსონი (ლიონი) | 14 | 504 | 2,78 |
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერი) | 14 | 373 | 3,75 |

### დაჯარიმდა

| | | | |
|---|---|---|---|
| ემერსონი (რომა) | 32 | 720 | 4,44 |
| იბრაჰიმოვიჩი (აიაქსი) | 29 | 509 | 5,7 |
| შირერი (ნიუკასლი) | 25 | 619 | 4,04 |
| მიდო (აიაქსი) | 21 | 406 | 5,17 |
| ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი) | 20 | 425 | 4,71 |

### კარისკენ დარტყმა

| | | | |
|---|---|---|---|
| რობერი (ნიუკასლი) | 15 | 510 | 2,94 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 13 | 598 | 2,17 |
| მამინოვი (ლოკომოტივი) | 12 | 632 | 1,9 |
| ნიკოლაიდისი (აეკ) | 11 | 504 | 2,18 |
| სონკი (გენკი) | 11 | 540 | 2,04 |

### ეუხეშნენ

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაშთურქი (ლევერკუზენი) | 35 | 623 | 5,62 |
| შირერი (ნიუკასლი) | 33 | 619 | 5,33 |
| მონტელა (რომა) | 28 | 462 | 6,06 |
| ვიეირა (არსენალი) | 27 | 656 | 4,12 |
| ფიგუ (რეალი) | 26 | 607 | 4,28 |

*შენიშვნა: პირველ გრაფაში რაოდენობა, მეორე გრაფაში ნათამაშები წუთი, მესამეში — საშუალო რაოდენობა ერთ მატჩში*

## ყველაზე მეტი ერთ მატჩში

**გოლი – 8**
ოლიმპიაკოსი 6:2 ლევერკუზენი
ვალენსია 6:2 ბაზელი

**კარში დარტყმა – 16**
რუსენბორგი 2:2 ინტერი
ლივერპული 1:1 ბაზელი
ნიუკასლი 0:1ფეიენოორდი
ვალენსია 6:2 ბაზელი
ლიონი 3:3 ინტერი
ვალენსია 1:1აიაქსი

**კარისკენ დარტყმა – 24**
ბრიუგე 0:0 ლოკომოტივი

**კუთხური – 21**
რუსენბორგი 2:2 ინტერი

**თამაშგარე – 20**
რომა 1:1აეკ

**ჯარიმა – 58**
ლევერკუზენი 2:0 ოლიმპიაკოსი

**ყვითელი ბარათი – 8**
ბრიუგე 0:0 ლოკომოტივი

**წითელი ბარათი – 2**
პსვ ეინდჰოვენი 3:0 ოსერი

## გერმანია

### ბუნდესლიგა
### გადადებული მატჩი

**მიონხენგლადბახი 2:0 ვოლფსბურგი**

1:0 შნოორი (33ს.კ.), 2:0 აიდოო (71)

**მიონხენგლადბახი:** შტილი, ებერლი, კორელი, პლეტში (ასანინი 83), ემბერსი, კლუგე, ულიხი (ვან ლენტი 74), მიუნხი, დემო, ფორსელი, აიდოო (შლაუდრაფი 90)

**მწვრთნელი:** ჰანს მაიერი

**ვოლფსბურგი:** რაიტმაიერი, შარპეი (კლიმოვიჩი 63), კვატროკი, შნოორი, ვაიზერი, ტიამი, ს. მიულერი, დ. მუნტიანუ (გ. პეტროვი 19), ეფენბერგი, პრეგერი, მადსენი

**მწვრთნელი:** ვოლფგანგ ვოლფი

**გაფრთხილება:** კვატროკი, ტიამი, მიულერი, კლიმოვიჩი

**მსაჯი:** ალბრეხტი

22 950 მაყურებელი

„ლევერკუზენს“ კი ერჩივნა, „ვოლფსბურგს“ მიონხენგლადბახიდან სამი ქულა წაეღო, მაგრამ ბაიერელებს ამ სეზონში არავინ ალარაფერს ეკითხება. ერჩივნა კი იმიტომ, რომ „გლადბახის“ გამარჯვებამ „ლევერკუზენი“ კიდევ ერთი საფეხურით დასწია უკან და გასავარდნ ზონაში ამოაყოფინა თავი. „გლადბახი“ — „ვოლფსბურგი“ 1 თებერვალს უნდა გამართულიყო და უამინდობის გამო ამ თიხშაბათისთვის გადმოიტანეს.

მასპინძლებს წინა ოთხი თამაში წაუგიათ, თან ისე, რომ ერთი კინკილა გოლიც არ გაუტანიათ. ახლაც ვინ იცის,

# რისი შნო ჰქონდათ, რომ არა შნოორი

რას გაახერხებდნენ, ვოლფსბურგელი შტეფან შნოორი რომ არ შეწეოდათ ავტოგოლით. მან იგორ დემოს გადაცემა ჩაჭრა საკუთარ კარში და გლადბახელთა 467-წუთიანი უგოლო სერიაც უხალისოდ შეწყვიტა.

ამ გოლმა გამამხნევებლად იმოქმედა მასპინძლებზე და შესვენების მერე მეორეც შეაგდეს. „ვოლფსბურგი“ ცხრილში სადაც იყო, იქვე დარჩა, „გლადბახმა“ კი, უკვე მოგახსენეთ, „ლევერკუზენს“ გადაუსწრო.



ვოლფსბურგელი დანიელ ემბერსი ბურთს მკერდით შეაგება

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 21 | 14 | 5 | 2 | 45:15 | 47 |
| დორტმუნდი | 21 | 11 | 6 | 4 | 35:17 | 39 |
| შტუტგარტი | 21 | 10 | 6 | 5 | 33:26 | 36 |
| შალკე | 21 | 9 | 8 | 4 | 29:21 | 35 |
| ვერდერი | 21 | 10 | 4 | 7 | 37:33 | 34 |
| ჰამბურგი | 21 | 9 | 6 | 6 | 27:26 | 33 |
| ჰერტა | 21 | 9 | 5 | 7 | 28:25 | 32 |
| მიუნხენი | 21 | 9 | 4 | 8 | 31:32 | 31 |
| ბოხუმი | 21 | 8 | 5 | 8 | 37:36 | 29 |
| ჰანზა | 21 | 7 | 6 | 8 | 24:25 | 27 |
| ვოლფსბურგი | 21 | 8 | 2 | 11 | 23:28 | 26 |
| არმინია | 21 | 6 | 7 | 8 | 24:29 | 25 |
| ნიურნბერგი | 21 | 7 | 3 | 11 | 27:34 | 24 |
| ჰანოვერი | 21 | 6 | 5 | 10 | 29:40 | 23 |
| გლადბახი | 21 | 6 | 4 | 11 | 22:26 | 22 |
| ლევერკუზენი | 21 | 5 | 5 | 11 | 26:36 | 20 |
| კოტბუსი | 21 | 5 | 5 | 11 | 21:39 | 20 |
| ლაუტერნი | 21 | 4 | 6 | 11 | 23:33 | 18 |

### მეორე ბუნდესლიგა
### გადადებული მატჩი

**როიტლინგენი 0:1 ბრაუნშვაიგი**

0:1 თომასი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 20 | 11 | 9 | 0 | 42:22 | 42 |
| მაინცი | 21 | 12 | 3 | 6 | 36:20 | 39 |
| აინტრახტი | 21 | 11 | 6 | 4 | 31:16 | 39 |
| ფრაიბურგი | 20 | 11 | 4 | 5 | 31:18 | 37 |
| ტრირი | 21 | 9 | 6 | 6 | 36:27 | 33 |
| ალემანია | 20 | 8 | 7 | 5 | 37:29 | 31 |
| დუისბურგი | 20 | 8 | 7 | 5 | 29:25 | 31 |
| ფიურტი | 21 | 7 | 9 | 5 | 26:22 | 30 |
| ობერჰაუზენი | 20 | 8 | 6 | 6 | 25:23 | 30 |
| ბურგჰაუზენი | 21 | 6 | 8 | 7 | 31:27 | 26 |
| ლიუბეკი | 21 | 8 | 2 | 11 | 32:33 | 26 |
| როიტლინგენი | 20 | 7 | 4 | 9 | 27:31 | 25 |
| უნიონი | 20 | 5 | 8 | 7 | 24:37 | 23 |
| ალენი | 21 | 6 | 4 | 11 | 26:36 | 22 |
| კარლსრუე | 21 | 4 | 9 | 8 | 19:31 | 21 |
| ვალდჰოფი | 21 | 4 | 5 | 12 | 25:44 | 17 |
| ზანკტ პაული | 21 | 4 | 4 | 13 | 29:46 | 16 |
| ბრაუნშვაიგი | 20 | 3 | 5 | 12 | 20:39 | 14 |

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



ლუის საჰას ამ გოლს ლონდონელებმა ორიც მიაყოლეს

# მიბრძანდით, საიდანაც მობრძანდით

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**ფულემი 3:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 საჰა (72), 2:0 ვომე (74), 3:0 მალბრანკი (77)

ფულემი: მაიკ ტეილორი, ფინანი, გომა (უადუ 46), მელვილი, ვომე, მარლე, ჯეტუ, ინამოტო, მალბრანკი (შტოლცერსი 89), საჟა, საჰა

მწვრთნელი: ჟან ტიგანა

ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ა. ჩემბერსი, გრეგანი, დ. მური, ჯილკრისტი, კლემენტი (უდეზე 90), უოლვორკი, მაკინესი, კუმასი, დიჩიო (ჟორდაო 80), მ. ჰიუზი (დობი 71)

მწვრთნელი: გარი მეგსონი

გაფრთხილება: ჯეტუ, ჩემბერსი, გრეგანი

მსაჯი: რენიე

15 799 მაყურებელი

**ლონდონში** დამარცხების შემდეგ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" კვლავაც ბოგინობს გასავარდნთა ზონაში და ვინძლო, მალევე დაბრუნდეს იქ, საიდანაც წინა ზაფხულში ამოვიდა. არა, რომც მოეგო, „ვესტ ბრომვიჩი" ცხრილში ერთი საფეხურითაც ვერ აიწევდა, მაგრამ მის წინ მდგომ „ბოლტონთან" ჩამორჩენას ერთ ქულამდე შეამცირებდა, მერე კი, ვინ იცის...

სტუმრებმა ძალიან კი მოინდომეს. საწყის ერთ საათში მთელი თავისი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი გადმოალაგეს, მაგრამ როდის იყო, თამაში ერთ საათს გრძელდებოდა. ამ ერთ საათში ჯეისონ კუმასმა და ლი ჰიუზმა გვარიანად ანერვიულეს „ლოფტუს როუდი" და ფულემელი მეკარე მაიკ ტეილორი. ანერვიულეს, მაგრამ ვერ გატეხეს. მერე კი, დამხვდურთა ჯერიც დადგა და სტუმართა კარში ხუთ წუთში სამი გოლიც გავიდა. პირველი გოლი ლუი საჰამ გაიტანა მას მერე, რაც სტად მალბრანკის ჩაწოდებულმა ბურთმა სტუმართა მცველებს ჩაუქროლა, გამჩერებელი კი არავინ აღმოჩნდა. მეორე გოლი პიერ ვომესია, აგვისტოში „ბოლონიადან" იჯარით აყვანილი ფეხბურთელისა. ეს გოლი ვომესთვის პირველი ფულემურიც გამოდგა და ბრწყინვალეც იყო — 30 მეტრიდან შეუჩერებლივ დაჰკრა. „ვესტ ბრომვიჩს" მარცხის სუნი ეცა, სულ მთლად აირია და დაბნეულობისგან პენალტიც აიკიდა. დარტყმის პატივი მალბრანკს ერგო და ეკუთვნოდა კიდეც. ფრანგს წინა ხუთ თამაშში გაუტანია და უგოლოდ არც ახლა გავიდა. საერთოდ კი ეს მისი მერვე გოლი იყო ამ სეზონში.

გამარჯვებამ „ფულემი" მე-14 ადგილზე ასტყორცნა და თავიც სამშვიდობოს შეუძლია დაიგულოს, „ვესტ ბრომვიჩის" წყალწაღებულობის ამბავი კი თავშივე ვთქვით.

ორი საუკეთესო მომენტი გავაფუჭეთო, დაიჩივლა ნამატჩევს ალბიონელთა მენეჯერმა გარი მეგსონმა, მაგრამ გაფუჭებულს რაღას გაამთელებ. ახლა მის გუნდს მისებრ წყალწაღებულ „ვესტ ჰემთან" ელის გაჯიბრება.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 27 | 17 | 6 | 4 | 57:29 | 57 |
| მანჩესტერი | 27 | 16 | 6 | 5 | 44:25 | 54 |
| ნიუკასლი | 26 | 15 | 4 | 7 | 42:32 | 49 |
| ჩელსი | 27 | 13 | 9 | 5 | 48:27 | 48 |
| ევერტონი | 27 | 13 | 6 | 8 | 35:32 | 45 |
| ლივერპული | 27 | 11 | 10 | 6 | 38:26 | 43 |
| ტოტენჰემი | 27 | 12 | 6 | 9 | 40:37 | 42 |
| ჩარლტონი | 27 | 12 | 6 | 9 | 36:34 | 42 |
| საუთჰემპტონი | 27 | 10 | 9 | 8 | 28:26 | 39 |
| სიტი | 27 | 11 | 5 | 11 | 38:38 | 38 |
| ბლექბერნი | 27 | 9 | 10 | 8 | 32:31 | 37 |
| ასტონ ვილა | 27 | 10 | 5 | 12 | 31:29 | 35 |
| ლიდსი | 27 | 10 | 4 | 13 | 34:34 | 34 |
| ფულემი | 27 | 9 | 6 | 12 | 31:34 | 33 |
| მიდლსბრო | 26 | 8 | 7 | 11 | 30:30 | 31 |
| ბირმინგემი | 27 | 6 | 8 | 13 | 23:39 | 26 |
| ბოლტონი | 27 | 5 | 10 | 12 | 29:44 | 25 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 5 | 6 | 16 | 20:41 | 21 |
| ვესტ ჰემი | 27 | 4 | 8 | 15 | 28:52 | 20 |
| სანდერლენდი | 27 | 4 | 7 | 16 | 18:42 | 19 |

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**იფსვიჩი 2:4 ვულვერჰემპტონი**

1:0 მ. ბენტი (2), 1:1 მილერი (11), 2:1 მოლანდი (45), 2:2 მილერი (63), 2:3 ნეილორი (74), 2:4 ნდა (81)

**ბრედფორდი — კრ. პალასი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 32 | 19 | 10 | 3 | 66:32 | 67 |
| ლესტერი | 32 | 19 | 8 | 5 | 52:30 | 65 |
| რედინგი | 32 | 17 | 4 | 11 | 41:31 | 55 |
| შეფილდი | 30 | 15 | 7 | 8 | 45:33 | 52 |
| ნოტინგემი | 31 | 14 | 9 | 8 | 49:32 | 51 |
| ვულვზი | 31 | 13 | 9 | 9 | 54:36 | 48 |
| როტერჰემი | 32 | 13 | 8 | 11 | 51:43 | 47 |
| ნორვიჩი | 30 | 12 | 10 | 8 | 43:30 | 46 |
| უოტფორდი | 31 | 13 | 6 | 12 | 37:47 | 45 |
| იფსვიჩი | 31 | 12 | 8 | 11 | 49:42 | 44 |
| ქოვენთრი | 32 | 11 | 10 | 11 | 36:35 | 43 |
| მილუოლი | 32 | 12 | 7 | 13 | 39:47 | 43 |
| კრ. პალასი | 30 | 10 | 12 | 8 | 43:33 | 42 |
| ჯილინგემი | 30 | 11 | 9 | 10 | 40:41 | 42 |
| დერბი | 32 | 12 | 6 | 14 | 42:47 | 42 |
| ბარნსლი | 30 | 11 | 8 | 11 | 44:55 | 41 |
| უიმბლდონი | 30 | 10 | 9 | 11 | 50:50 | 39 |
| პრესტონი | 31 | 9 | 11 | 11 | 47:50 | 38 |
| ბრედფორდი | 31 | 9 | 8 | 14 | 37:52 | 35 |
| უოლსოლი | 31 | 9 | 6 | 16 | 42:50 | 33 |
| გრიმსბი | 32 | 7 | 7 | 18 | 36:62 | 28 |
| ბრაიტონი | 32 | 6 | 8 | 18 | 33:51 | 26 |
| სტოკი | 31 | 5 | 10 | 16 | 34:56 | 25 |
| უენსდი | 32 | 5 | 10 | 17 | 31:56 | 25 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**მოზერუელი 2:1 დანფერმლაინი**

1:0 პირსონი (19), 2:0 კრეიგი (50), 2:1 კროუფორდი (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 28 | 24 | 3 | 1 | 76:20 | 75 |
| სელტიკი | 27 | 22 | 3 | 2 | 69:17 | 69 |
| ჰართსი | 28 | 13 | 7 | 8 | 47:42 | 46 |
| დანფერმლაინი | 28 | 12 | 3 | 13 | 44:51 | 39 |
| კილმარნოკი | 27 | 11 | 6 | 10 | 31:39 | 39 |
| ჰიბერნიანი | 27 | 10 | 4 | 13 | 38:43 | 34 |
| დანდი | 26 | 7 | 8 | 11 | 30:40 | 29 |
| პარტიკი | 27 | 6 | 9 | 12 | 27:42 | 27 |
| აბერდინი | 28 | 6 | 9 | 13 | 25:42 | 27 |
| ლივინგსტონი | 27 | 7 | 5 | 15 | 35:43 | 26 |
| მოზერუელი | 27 | 6 | 6 | 15 | 33:46 | 24 |
| დანდი იუნ. | 28 | 4 | 9 | 15 | 23:53 | 21 |

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ტრუა 2:0 ლილი**

1:0 გუსე (43), 2:0 საიდი (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 27 | 14 | 6 | 7 | 30:23 | 48 |
| მონაკო | 27 | 12 | 10 | 5 | 40:21 | 46 |
| ნიცა | 27 | 11 | 10 | 6 | 31:21 | 43 |
| ოსერი | 26 | 12 | 7 | 7 | 26:21 | 43 |
| ლიონი | 27 | 11 | 9 | 7 | 43:32 | 42 |
| სოშო | 26 | 11 | 8 | 7 | 28:22 | 41 |
| ბასტია | 27 | 12 | 5 | 10 | 30:29 | 41 |
| ბორდო | 26 | 11 | 7 | 8 | 37:28 | 40 |
| პსჟ | 27 | 10 | 9 | 8 | 33:25 | 39 |
| ლანსი | 26 | 9 | 11 | 6 | 31:26 | 38 |
| ნანტი | 26 | 11 | 5 | 10 | 29:28 | 38 |
| გენგამი | 26 | 10 | 4 | 12 | 35:38 | 34 |
| სტრასბური | 26 | 9 | 7 | 10 | 30:37 | 34 |
| ლე ავრი | 27 | 8 | 8 | 11 | 21:30 | 32 |
| რენი | 27 | 7 | 7 | 13 | 22:29 | 28 |
| ლილი | 25 | 7 | 7 | 11 | 20:32 | 28 |
| აიაჩო | 26 | 6 | 9 | 11 | 20:31 | 27 |
| სედანი | 26 | 7 | 6 | 13 | 28:42 | 27 |
| მონპელიე | 26 | 5 | 9 | 12 | 24:34 | 24 |
| ტრუა | 27 | 5 | 8 | 14 | 17:26 | 23 |

## ჰოლანდია

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ექსელსიორი 0:2 როდა**

0:1 სოტერსი (4), 0:2 ანასტასიუ (32)

**ვიტესი 2:1 ზვოლე**

1:0 იანსენი (32), 1:1 ვან ბიუკერინგი (60), 2:1 ბ. პეეტერსი (62)

**ალკმაარი 3:1 ბრედა**

1:0 ლეიმი (8), 2:0 კ. პერესი (20), 2:1 ვან დენ ეედე (55), 3:1 ელ ხატაბი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 20 | 16 | 3 | 1 | 52:10 | 51 |
| აიაქსი | 20 | 14 | 5 | 1 | 53:20 | 47 |
| ფეიენოორდი | 20 | 12 | 4 | 4 | 49:24 | 40 |
| როდა | 20 | 9 | 5 | 6 | 34:31 | 32 |
| ტილბურგი | 20 | 9 | 4 | 7 | 34:29 | 31 |
| ვალვაიკი | 20 | 9 | 4 | 7 | 21:24 | 31 |
| ბრედა | 20 | 7 | 9 | 4 | 26:19 | 30 |
| ნაიმეგენი | 20 | 8 | 6 | 6 | 26:27 | 30 |
| უტრეხტი | 19 | 7 | 7 | 5 | 26:23 | 28 |
| ჰერენვენი | 20 | 7 | 6 | 7 | 35:31 | 27 |
| ალკმაარი | 20 | 7 | 3 | 10 | 31:50 | 24 |
| ტვენტე | 20 | 5 | 8 | 7 | 24:30 | 23 |
| ვიტესი | 20 | 5 | 4 | 11 | 19:24 | 19 |
| ექსელსიორი | 20 | 4 | 7 | 9 | 23:35 | 19 |
| როზენდალი | 20 | 5 | 4 | 11 | 21:33 | 19 |
| გრონინგენი | 20 | 3 | 5 | 12 | 17:31 | 14 |
| ზვოლე | 20 | 3 | 4 | 13 | 17:41 | 13 |
| გრააფსხაპი | 19 | 3 | 4 | 12 | 19:45 | 13 |










# გაზასთან ძანსუში

*საავენტო „როიტერის" ჩინეთში გაფანტულ ფოტორეპორტიორთაგან ერთ-ერთი, ცხადია, ძანსუს პროვინციაში დასახლდა. ცხადია იმიტომ, რომ ამ აქამდე არაფრით გამორჩეული პროვინციის, მით უმეტეს, არაფრით ცნობილ საფეხბურთო გუნდ „ძანსუ ტიანმაში" ამასწინათ თვით პოლ გესქოინი ჩაირიცხა. ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ვარსკვლავი კარიერის ბოლოს ნახევარ მსოფლიოს მოედო და ნავსაყუდელი (ცხადია, დროებითი) ჩინეთში ნახა. უკვე იმდენი ქათამი ვჭამე, მალე კაკანს დავიწყებო – უთქვამს გაზას, რომლის პირველი საწვრთნელი თამაშის ფოტოებს გთავაზობთ. გაზა კარგად გარჯილა, თუმცა მრავლისმნახველი მარჯვენა ფეხის კუნთი დაჭიმვია.*

# Copa Toyota Libertadores 2003

## ლიბერტადორესის თასი 2003

### I ჯგუფი. I ტური

**დეპორტივო კალი (კოლუმბია) 2:0 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

1:0 მურილიო (35), 2:0 კ. კასტილიო (61)

### II ჯგუფი. I ტური

**უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) 0:1 სპორტინგ კრისტალი (პერუ)**

0:1 მაესტრი (6)

### VIII ჯგუფი. I ტური

**ფენიძსი (ურუგვაი) 1:2 კორინთიანსი (ბრაზილია)**

0:1 ლუსიანუ (16), 1:1 კამპორა (23), 1:2 ჟ. ვაგნერი (37)


სიახლე საფრანგეთში!



ფრანგმა ქალბატონმა სასტუმრო „საჰაში" ჩამოაყალიბა ბავშვთა სათხილამურო სკოლა

- სასტუმროს ტერიტორიაზე მოქმედებს მინი საბაგირო გზა მუდმივი დენით;
- უზრუნველყოფა თანამედროვე სათხილამურო ინვენტარით;
- თხილამურებზე სრიალის სწავლება 2 წლის ასაკიდან ფრანგული მეთოდებით;
- ორ და სამადგილიანი კომფორტაბელური ნომრები;
- უფრო კვალიფიციურად სავარჯიშოდ მსურველები გაიგზავნებიან საფრანგეთის მუდმივთოვლიან კურორტ ვალდიზერში.

რაც მთავარია, შეღავათიანი ფასები

ბაკურიანი, კოსტავას №25 ტელ.: 8 (99) 10-24-63; 8 (99) 91-57-60

# სარბიელი კროკი

## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 002 | ვერდერი-კოტბუსი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 003 | ვერდერი-კოტბუსი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.30 | 004 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 05 | ბაიერნი-ნიურნბერგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 006 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 008 | ჰანზა-ბოხუმი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.30 | 009 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 18.30 | 010 | შალკე-დორტმუნდი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 011 | ჰერტა-არმინია | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.30 | 012 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 014 | კოლნი-ალენი | 1.35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 015 | კოლნი-ალენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.00 | 016 | კარლსრუე-ალემანია | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 22.00 | 017 | ოსნაბრუკი-ვალდჰოფი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1.22 | 2,1 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 018 | სტ.პაული-უნიონი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 18.00 | 019 | ფიურტი-ლიუბეკი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 18.00 | 020 | ბურგჰაუზენი-აინტრახტი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1.3 | 1,32 |
| 18.00 | 021 | როიტლინგენი-მაინცი | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 18.00 | 022 | დუისბურგი-ტრირი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.15 | 023 | ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 024 | ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი 0:1 | 1.75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 16.00 | 027 | ბოლტონი-მანჩესტერი | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |
| 16.30 | 028 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 19.00 | 029 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 030 | ჩელსი-ბლეკბერნი | 1.55 | 3.4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 19.00 | 031 | ლიდსი-ნიუკასლი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.00 | 032 | სიტი-არსენალი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 19.00 | 033 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 034 | ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 20.05 | 035 | ბირმინგემი-ლივერპული | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 036 | ტოტენჰემი-ფულჰემი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 041 | ბრაიტონი-მილუოლი | 2.4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 042 | ბერნლი-დერბი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 043 | ქოვენტრი-ბრედფორდი | 1.75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 044 | კრისტალ პალასი-ვიმბლდონი | 1,65 | 3,3 | 5.3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 19.00 | 045 | იფსვიჩი-გრიმსბი | 1.45 | 3,8 | 7.0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 19.00 | 046 | ლესტერი-უიმბლდონი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 047 | ნოტინგემი-სტოკი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 048 | პორტსმუტი-გილინგემი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 049 | პრესტონი-ვოლვერჰემპტონი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.00 | 050 | რედინგი-როტერჰემი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1.8 |
| 19.00 | 051 | შეფილდი-ნორვიჩი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 19.00 | 052 | უოლსოლი-უოტფორდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1.25 | 1.4 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 055 | კარდიფი-პლიმუთი | 1.6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 056 | ბარნსლი-ჰადერსფილდი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 19.00 | 057 | ჩელტენჰემი-კოლჩესტერი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1.37 | 1,27 | 1.46 |
| 19.00 | 058 | ჩესტერფილდი-კრიუ | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 19.00 | 059 | ლუტონი-ბრენტფორდი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 060 | ნორთჰემპტონი-ბრისტოლი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1.35 |
| 19.00 | 061 | ოლდჰემი-ნოტსი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 19.00 | 062 | პიტერბორო-სტოკპორტი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 063 | პორტ ვეილი-სუინდონი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 064 | ქუინს პარკი-მენსფილდი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1.05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 065 | ტრანმერი-ბლეკპული | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 066 | უიკომბი-უიგანი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 072 | ბოსტონი-კიდერმინსტერი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1.43 |
| 19.00 | 073 | ბორნმუთი-ექსეტერი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1.21 | 2.31 |
| 19.00 | 074 | როჩდეილი-მაკლსფილდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1.23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 075 | ჰარტლეპული-სუონსი | 1,4 | 3.8 | 8,0 | 1.02 | 1,19 | 2.57 |
| | 076 | ჰარტლეპული-სუონსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 19.00 | 077 | ჰალი-კემბრიჯი | 2.1 | 3,1 | 3.4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 19.00 | 078 | ლინკოლნი-შრუსბერი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1.13 | 1.26 | 1,88 |
| 19.00 | 079 | რაშდენი-კარლაილი | 1.7 | 3,4 | 4,6 | 1.13 | 1.24 | 1,95 |
| 19.00 | 080 | სკანთორპი-ლეიტონი | 1.9 | 3.2 | 3,8 | 1.19 | 1.26 | 1,73 |
| 19.00 | 081 | საუთენდი-რაშდენი | 2.6 | 3.1 | 2,5 | 1.41 | 1,27 | 1.38 |
| 19.00 | 082 | ტორკი-ოქსფორდი | 2.1 | 3.2 | 3,3 | 1,26 | 1.28 | 1.62 |
| 19.00 | 083 | იორკი-ბერი | 2.2 | 3.1 | 3.2 | 1.28 | 1.3 | 1.57 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 084 | რექსემი-დარლინგტონი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| | | **იტალია. სერია "A". XXII ტური** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 21.00 | 085 | კომო-იუვენტუსი | 6,5 | 3,6 | 1,5 | 2,31 | 1,21 | 1,05 |
| 23.30 | 086 | ტორინო-მილანი | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| | | **23 თებერვალი.** | | | | | | |
| 18.00 | 087 | ბოლონია-ემპოლი | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 18.00 | 088 | ბრეშა-რეჯინა | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1.3 | 1,78 |
| 18.00 | 089 | ინტერი-პიაჩენცა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 090 | ინტერი-პიაჩენცა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 18.00 | 091 | ლაციო-ატალანტა | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 18.00 | 092 | მოდენა-კიევო | 2.6 | 3,0 | 2,6 | 1.39 | 1,29 | 1,39 |
| 18.00 | 093 | უდინეზე-რომა | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 23.30 | 094 | პერუჯა-პარმა | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| | | **იტალია. სერია "B". XXIII ტური** | | | | | | |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 095 | ვერონა-ვენეცია | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1.18 | 1.37 | 1.61 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 096 | ანკონა-ვიჩენცა | 2,35 | 2,6 | 3,4 | 1,23 | 1,38 | 1,47 |
| 18.00 | 097 | ბარი-ჯენოა | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 18.00 | 098 | კალიარი-ტერნანა | 1,75 | 2,9 | 5.3 | 1.09 | 1,31 | 1,87 |
| 18.00 | 099 | კატანია-მესინა | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1.11 | 1,33 | 1,76 |
| 18.00 | 100 | კოზენცა-ნაპოლი | 2,5 | 2,7 | 3,0 | 1,29 | 1.36 | 1,42 |
| 18.00 | 101 | სალერნიტანა-ლეჩე | 3,1 | 3,0 | 2,3 | 1,52 | 1,32 | 1.3 |
| 18.00 | 102 | სამპდორია-ასკოლი | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 18.00 | 103 | სიენა-პალერმო | 1,9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 104 | ტრიესტინა-ლივორნო | 1.9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| | | **იტალია. "C1 B". გადადებული მატჩი.** | | | | | | |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 17.30 | 105 | ლანჩანო-ჯულიანოვა | 1,7 | 2,9 | 6,0 | 1,07 | 1,32 | 1,95 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 106 | რეალი-ვალიადოლიდი | 1,3 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,15 | 3,05 |
| | 107 | რეალი-ვალიადოლიდი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.45 | 108 | დეპორტივო-ალავესი | 1,55 | 3,5 | 6.0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 00.30 | 109 | ბარსელონა-ბეტისი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 110 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.6 | 3,2 | 6,5 | 1,06 | 1,28 | 2,14 |
| 20.00 | 111 | სევილია-ესპანიოლი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 20.00 | 112 | ვილარეალი-რასინგი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 21.00 | 113 | მალაგა-სელტა | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 20.00 | 114 | უელვა-ატლეტიკო | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 20.00 | 115 | მაიორკა-ბილბაო | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 23.30 | 116 | რაიო-ვალენსია | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 21.30 | 117 | სპორტინგი-სერესი | 2,0 | 2.8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1.67 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 15.00 | 118 | ლეგანესი-ელჩე | 2,5 | 2,6 | 3,1 | 1,27 | 1,38 | 1,41 |
| 15.00 | 119 | მურსია-სარაგოსა | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
**დღეს** ყოფილ მერანელებს იოსებ დევიძეს და ალექსანდრე კოშკაძეს ბოლნისური „სიონი" განაცხადში შეიყვანს და სათავისოდ დაიგულებს. „მერანის" დაშლის შემდეგ კოშკაძე და დევიძე ქვემო ქართლში გათავისუფლების ფურცლებით ხელდამშვენებულები ჩავიდნენ, მაგრამ თემურ მახარაძის მითითებით დღემდე ერთხელაც არ უვარჯიშიათ.

ორივემ „სიონის" თავკაცებს პირობა დაუდო, თუ უცხოეთში ვერ მოვეწყეთ, თქვენიანებად გვიგულეთო. მას აქეთ ორივე გამქრალი იყო, მოარულ ხმებს თუ ვერწმუნებით, კოშკაძე თურქეთში ეძებდა გუნდს, ხოლო დევიძე სულაც ოკეანისგაღმა გადახვეწილა და ამერიკულ მეიჯორ სოკერ ლიგის გუნდში ამოუყვია თავი.

„დი სი იუნაიტედი" თავის დროზე ლიგის ჩემპიონიც ყოფილა, ახლა კი აღმოსავლეთ დივიზიონის აუტსაიდერია. ვერ გეტყვით, ვისი მეოხებით მოხვდა ჩვენებური ამერიკულ ლიგაში, მაგრამ დევიძემ იქ ორი მატჩის ჩატარება უკვე მოასწრო.

სადღეისოდ „დი სი იუნაიტედის" ღირსებას იცავენ ცნობილი ბულგარელი ფორვარდი ხრისტო სტოიჩკოვი, ბოლივიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი მარკო ეჩევერი, უკრაინელი დმიტრი კოვალენკო, ამერიკის ეროვნული გუნდის შემტევი შუახაზელი ერნი სტიუარტი და ჰონდურასელი მილტონ რეისი.

მწვრთნელი რეი ჰადსონი იოსებ დევიძის დადებით და უარყოფით საფეხბურთო თვისებებზე არაფერს ამბობს, მაგრამ იმას კი გადაჭრით აცხადებს, რომ ქართველის საკითხი ორიოდ დღეში გადაწყდებაო.

შეგახსენებთ, რომ დევიძის დარად მეიჯორ სოკერ ლიგაში სხვადასხვა დროს დამკვიდრება დავით მუჯირს (მეტროსტარზი) და ვალტერ გუჩუას (დალასი) უცდიათ.

**მამუკა კვანტალიანი**

# შენგელია კვიპროსიდან უფულობას გამოექცა

**ერთწლიანი** კვიპროსული ვოიაჟის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფორვარდი გიორგი შენგელია, ვისაც თავის დროზე „დინამოში", „ტორპედოში", „სამგურალსა" და „ლოკომოტივში" უბურთავია.

გიორგი შენგელია ერთი წლის წინ ლიმასოლის „აპოლონში" მოეწყო და თავის ახალ გუნდს 7 გოლითაც შეეწია, შემდეგ ნიქოზიის „დიგენისში" გადაბარგდა და თერთმეტ თამაშში თავის ანგარიშზე ორი გოლი მიითვალა. სადღეისოდ გიორგი „მერანი-ოლიმპთან" ვარჯიშობს, მაისის ბოლომდე საქართველოში დარჩენას, ჩვენებურ ჩემპიონატში თამაშს და მერე ისევ უცხოეთში გაბრუნებას გეგმავს.

— თავიდან „დიგენისში" ყველაფერი ჩინებულად აეწყო. გუნდიც ჟოჩაღად გამოიყურებოდა და თამაშიც მიხაროდა. მერე კლუბში ვითარება აირია, ყველაფერს მომძლავრებული ფინანსური პრობლემებიც დაერთო და იქ გაჩერებას აზრი დაეკარგა.

კვიპროსის ჩემპიონატში სატრანსფერო სეზონი დახურულია, ზაფხულამდე მოვიცდი და არ არის გამორიცხული, ისევ უკან გავბრუნდე.

**— რომელიმე ქართული კლუბი თუ შეგეხმიანა?**

— ჯერჯერობით არა. ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და ალბათ, რამე ვარიანტიც გამოჩნდება.

**მამუკა კვანტალიანი**



გიორგი შენგელია (მარცხნივ) საქართველოში დარჩენას ზაფხულამდე აპირებს



# იყიდება! ფასი 500 000$

*იყიდება ბალახშეცვლილი, ახალგარემონტებული სტადიონი კარგ ფორმაში. იდეალური საშხაპე-გასახდელებით, საფეხბურთო გუნდით და უმაღლეს ლიგაში ადგილით. სტადიონი უზრუნველყოფილია დენით და ცხელი წყლით. ტევადობა 10 750. შესაძლებელია სტანდარტული სათამაშო მოედნის მიშენებაც. საწყისი ფასი 500 ათასი $.*

*თუკი ვინმე ამ განცხადებით დაინტერესდით, ბარემ მისამართსაც გეტყვით: რუსთავი. ნიკოლაძის 5*

„გორდას“ მესვეურებმა ნახევარი მილიონ დოლარად შეაფასეს „ფოლადი“. ამის შესახებ რუსთავის მერიაში გამართულ შეხვედრაზე ითქვა. ქვემო ქართლის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტმა ლაშა მინდელმა სიტყვა შეასრულა და გორდელები შეკრიბა გუნდის კრიზისიდან გამოსაყვანი გზების საძიებლად.

მინდელის მოსაზრება „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია. „გუნდს სოლიდური სპონსორი გამოუჩნდება, თუკი ინვესტორს სტადიონს დაუთმობთ“ — ეს სიტყვები უთხრა რუსთავის ვიცე-მერმა „გორდას“ ხელმძღვანელებს. „ფოლადის“ მეპატრონეებმა მინდელის წინადადება შორს დაიჭირეს, „სტადიონს“ ნახევარ მილიონად ვყიდით და თუკი ვინმეს „გორდაში“ მისვლა სურს, ეს ფული გადაიხადოსო.

გუშინდელმა სამსაათიანმა შეხვედრამ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა და კონკრეტული შეთანხმების გარეშე დასრულდა. „გორდას“ ხელმძღვანელებმა წასვლისას მინდელს დაუბარეს, თუ სპონსორი გამოჩნდა, ჩვენთან გამოუშვით და მოვილაპარაკებთო.

ვეჭვობთ, „გორდა-ფოლადის“ მეპატრონეებთან ვინმემ „ნახევარმილიონიანი საქმე“ დაიჭიროს. [illegible] „ფოლადი“ კი არა, მთელი [illegible] კომბინატი არ შეფასებულა.

ასეთ გაურკვეველ ვითარებაში მწვრთნელ-ფეხბურთელები თავიანთ საქმეს აკეთებენ. იასონ ალადაშვილი დღეს ფასდადებულ „ფოლადზე“ ქართველ ცხრამეტწლამდელებს გააჯიბრებს სამწყსოს.

ალადაშვილის გუნდი სანდრო ბურნაძემ დატოვა. იგი ნაცად გზას დაადგა და ბოლნისურ „სიონს“ დაუბრუნდა. იასონ ალადაშვილმა „ვიტ ჯორჯიადან“ შვილი დაიბრუნა — ლაშა ალადაშვილი საგაზაფხულო ეტაპს ისევ „გორდაში“ შეხვდება.

„გორდას“ სამი ახალწვეული ჰყავს — ლანჩხუთის „გურიადან“ რუსთაველებმა მცველი ლაშა ჩხაიძე შეიმატეს, მასთან ერთად უხმეს ყოფილ მერანელ ბექა ნოზაძესაც. ორშაბათიდან კი რუსთაულ გუნდში ივარჯიშებს ვახტანგ იაგორაშვილიც. ეს ფეხბურთელი ბოლო დროს გივი ნოდიას „დინამოში“ თამაშობდა და ათგზის ჩემპიონს სკანდალურად დაშორდა.

იასონ ალადაშვილის თქმით, იაგორაშვილის „გორდაში“ თამაში, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

**ბაატა ძვანტალიანი**



მანუჩარ ივარდავა

*ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესლიგელები დღეს ფეხბურთის ფედერაციაში დამატებით განაცხადებს წარადგენენ და სწორედ მაშინ გაცხადდება, რომელმა გუნდმა ვინ შეიმატა. აქამდე ზოგი მწვრთნელი ახალწვეულთა ვინაობას საგულდაგულოდ ასაიდუმლოებდა, მაგრამ ჩვენში გაუგებარი რა დარჩენილა. ორშაბათს საგაზაფხულო სეზონი სათასო მატჩებით განახლდება და მავანთა საიდუმლოსაც ფარდა აეხდება.*

*თითქმის ყველა უმაღლესლიგელი წინასასეზონო შეკრებას მორჩა. გუშინ უცხოეთიდან შინ მოეშურებოდნენ ბულგარეთს და თურქეთს შემორჩენილი „ბათუმი“ და „ტორპედო“. „დინამომ“ ბოსნიურ-ხორვატიული შეკრება ფაქტობრივად დაასრულა და ხვალ უკვე თბილისში იქნება. დანარჩენები კი საქართველოში იკრებენ ძალებს და საკონტროლო მატჩებში ხვეწენ შემადგენლობას*



ზაურ ჩუბინიძე

# მზად ხართ?

## ზესტაფონში იაფი მუშაფეხი დაიქირავეს

### ლოკომოტივი

გუშინ რკინიგზელთა თავკაცმა ლევის ცაკარიასმა თავისი გუნდი ორად გაყო. პირველი შემადგენლობა დილიდში რუსთავის „გორდას“ გააჯიბრა, ხოლო სამარქაფოები მოგვიანებით გორის გზას გაუყენა და „ქართლის“ სტადიონზე „ცხინვალს“ დაუპირისპირა.

დედაქალაქში უეცრად მოსულმა თოვლმა ცაკარიასის გეგმები ცოტათი აურია. პერუელს „გორდასთან“ გაჯიბრება ვაკეში ეწადა, მაგრამ რკინიგზელები მოედნის საფარს მოუფრთხილდნენ და რუსთაველებიც დილმის ბაზის ატალახებულ მინდორზე იწვიეს.

ფაქტობრივად უვარჯიშებელი და უსახსრო „გორდა“ „ლოკომოტივისთვის“ კერკეტი კაკალი გამოდგა. პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა, მეორე ნახევრის დებიუტშივე კი რუსთაველები დაწინაურდნენ. ლაშა ალადაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გოლად არმაზ ჯელაძემ აქცია.

რკინიგზელებმა კიდარაშვილის გოლით გაქვითეს და ცაკარიასიც დაამშვიდეს, თუმც პერუელს გუშინდელი ფრე მაინცდამაინც არ უნაღვლია, შეკრების შემდეგ ჩემს ბიჭებს ძალები ბოლომდე არ აღუდგენიათ, ზოგიერთის კუნთებიც სტკივა, მაგრამ მარტში ყველაფერი რიგზე იქნებაო.

გუშინ კი სტუმარ-მასპინძლებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

***გორდა:*** *ჩლაიძე, ბერიძე (მელაძე), თავბერიძე, არსოშვილი, ლ. სოლავაძე, ბუკია (ჩხაიძე), ქ. ალადაშვილი (მიქავა), ჯელაძე, ზ. ლაბაძე ზვ. ლაბაძე, ლ. ალადაშვილი*

***ლოკომოტივი:*** *ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე ორბელაძე რ. ონიანი, ლაცაბიძე, სირაძე გალიარდო (ნანა), კვარაცხელია, ჭიჭკეიშვილი (რუსია), კიდარაშვილი*

რამდენიმე საათში ცაკარიასი უკვე გორში იყო და მეორე გუნდს მოძღვრავდა. ახალგაზრდებმა მწვრთნელი არ გააწბილეს და „ცხინვალს“ 3:0 მოუგეს. პირველი გოლი პენალტიდან მეკარე მანუჩარ ივარდავამ გაიტანა, რასაც მუშკუდიანმა დუბლი მიაყოლა.

ცაკარიასმა გამორჩევით სოსელია აქო, სამდურავი არც სხვების მისამართით დასცდენია, ხოლო „ქართლის“ მოედნის საფარი საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მონათლა.

გუშინდელი მატჩებით „ლოკომოტივმა“ წინასასეზონო მზადება, ფაქტობრივად, დაასრულა, ორშაბათს კი სათასო თამაშია.

### სიონი

თემურ მახარაძემ ბოლნისური გუნდი ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ დააბინავა და იქ აღვრევინებს ოფლს. მწვრთნელის განცხადებით, შეკრებაზე 18 მოთამაშე ჰყავს, მაგრამ ვეჭვობთ, რომ მახარაძე რაღაცას მალავს და ჩაქვშიც მეტი ფეხბურთელით გაემგზავრა.

„სიონში“ ვარჯიშობს კონტრაქტით დინამოელი, შემოდგომაზე „კოლხეთის“ მცველი რამაზ სვანაძე. მახარაძის განკარგულებაშია კიდევ ერთი უკანახაზელი სანდრო ბურნაძე ვინც გაჭირვებულ „გორდაში“ ბურთაობა იუარა.

„სიონი“ დღეს ჩაქვიდან წყალტუბოში ჩავა, იქაურ „სამგურალს“ ამხანაგურად გაეჯიბრება და შინისკენ გამოემგზავრება.

### კოლხეთი

გუნდის დაკომპლექტება, ფაქტობრივად, სოსო ფილიამაც დაასრულა. მართალია, კოლხთა თავკაცმა სვანაძის გადაბირება ვერ მოახერხა, მაგრამ ბოლნისელებს გონჩაროვი მაინც წაჰგვარა, რომელიც გუშინ უკვე მის განკარგულებაში იყო.

საგაზაფხულოდ „ფაზისს“ ერთი „ახალმოსახლეც“ ეყოლება. ცხრამეტწლამდელთა ნაკრების ცენტრალური ნახევარმცველი, უკვე არარსებული „გოლეადორის“ და უკრაინული „ზარია ლუგანსკის“ ყოფილი მოთამაშე კოტე დარსანია საგაზაფხულოდ ფილიას მეგირდი იქნება.

გუშინწინ ფოთელები წყალტუბოში გაემგზავრნენ და „სამგურალს“ 4:1 გაუსწორდნენ. სტუმართაგან გოლები ქობულაძემ, გაგუამ, კრასოვსკიმ და ქუტიძემ გაიტანეს. ფილიამ წყალტუბოში ესენი ათამაშა.

*ა. ლაბაძე (ბერაია), გოროზია (ფილია), ქუტიძე (თურქია), ლონდაძე, ქობულაძე, დარსანია, ტულუში (გოჩალეიშვილი), კვერნაძე (ზურცილავა), გაბიდაური, გაგუა, კრასოვსკი;*

### მერანი – ოლიმპი

დღეს თავისი გუნდის სრულ შემადგენლობას კობა ყორყიკაშვილიც გამოაცხადებს. აჭარული კლუბის ნარჩენებზე შექმნილი „მერანი-ოლიმპი“ სამი ყოფილი რკინიგზელით გაძლიერდა. კახა გოგიჩაიშვილმა და გიორგი ქორიძემ „ლოკომოტივიდან“ გათავისუფლების ფურცლები უკვე წაიღეს, ხოლო სულიკო დავითაშვილი იჯარის წესით გაანათხოვრეს რკინიგზელებმა.



სულიკო დავითაშვილი

სადღეისოდ ჯიქიას ქუჩაზე არსებულ საფეხბურთო აკადემიაში კოკა მიკუჩაძე და სანდრო ჩივაძეც ვარჯიშობენ, თუმც მათი „მერანი-ოლიმპიში“ გაწევრიანება მოსალოდნელი არ არის.

ორიოდ დღის წინ კლუბის თავკაცებმა ფეხბურთელები ფირმა „ნაიკის“ მაღაზიას აწვიეს და საახალსეზონოდ შემოსეს. თითოეულმა მოთამაშემ სასურველი ბუცი თუ სხვა სავარჯიშო ფორმა აირჩია, რისი უფლებაც ხელმძღვანელებისგან მიღებული ჰქონდათ.

მართალია, ყორყიკაშვილის გუნდი უცხოურ შეკრებაზე ვერ გაემგზავრა, მაგრამ ჯიქიელებს საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური და ვარჯიში არ მოჰკლებიათ. ლიგაში ადგილის შენარჩუნებაც არ უნდა გაუჭირდეთ.

### მეტალურგი

ზესტაფონს საფეხბურთო გუნდი კი ეყოლება, მაგრამ არა გვგონია მან უმაღლესში ადგილის შენარჩუნება მოახერხოს. გუშინ „ვერის“ ქარხნის თავკაცები, ქალაქის ხელმძღვანელები და „მეტალურგის“ მესვეურები შეიკრიბნენ და „მეტალურგის“ დაშლაც გადაწყდა. გუნდში არ იქნებიან ძველი ფეხბურთელები, მათ ადგილს კი რეგიონულ ლიგაში მოთამაშე „შევარდენის“ გამოუცდელი ბიჭები დაიჭერენ.

— კვების და მგზავრობის ხარჯებს აგინაზღაურებთ, ალბათ, მცირე ხელფასებსაც დაგინიშნავთ, დანარჩენზე კი ჯერჯერობით ბოდიში — „მეტალურგის“ თავკაცებისთვის ეს სიტყვები ძნელი მოსასმენი იყო, მაგრამ მათდა სამწუხაროდ ასეთია მწარე რეალობა.

„მეტალურგის“ ძველი შემადგენლობიდან ვისაც პატრონი გამოუჩნდა, იმან თავს უშველა, დანარჩენები ინდივიდუალურად ემზადებიან და გრომებზე, სამადლოდ თამაშს არ აპირებენ. ჯერჯერობით უქმობს ზაურ ჩუბინიძეც, ხოლო „შევარდენი“ თავისი მწვრთნელის მითითებით იწვრთნება.

**მამუკა ძვანტალიანი**


**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# კაპრიატიმ ცხოვრებას თვალი გაუსწორა


REUTERS დუბაიდან

**ABN AMRO WORLD TENNIS TOURNAMENT**
**როტერდამი. ჰარდი**
**საპრიზო 800 ათასი $**

### პირველი წრე

**როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 3:6, 6:3, 6:4; მარატ საფინი (3, რუსეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 7:5, 6:3; ნიკოლა ესკუდი (საფრანგეთი) — ალ კოსტა (4, ესპანეთი) 6:3, 6:3; სებასტიან გროჟანი (6, საფრანგეთი) — რენცო ფურლანი (იტალია) 6:3, 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 6:2, 6:2; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:4, 4:6, 6:2**

### მეორე წრე

**სხენგ შალკენი (8, ჰოლანდია) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 7:5, 6:2**

იმ დღეს ორი ტრავმამოკეთებული მეჩოგნე გამოირჩა — მარატ საფინი, ვინაც ავსტრალიის ღია პირველობა დასიებული მაჯის გამო მიატოვა და მას მერე ერთი თვე იწამლა, და ფრანგი ნიკოლა ესკუდი, რომელმაც იქითა შაბათის მარსელურ ნახევარფინალში თამაში ნატკენი მუხლქვეშა მყესის გამო ვერ შეძლო, მაგრამ ახლა ისევ ჯანზეა და თავისი ზედიზედ მესამე (!) როტერდამული ტიტულისთვის იბრძვის. ბარემ აქვე გეტყვით, რომ იქაურ ჭერქვეშა მაგარსაფარზე ზედიზედ სამჯერ გაჩემპიონება აქამდე ვერავის მოუხერხებია.

70-იან წლებში იქ სამჯერ განთქმულმა არტურ ეშმა კი იპირველა, მაგრამ — არა ზედიზედ. სხვათა შორის — თავის მესამე როტერდამულ ტიტულს მიელტვის ჰოლანდიელი სხენგ შალკენიც, რომელიც მეორე წრეში სწორედ ნიკოლა ესკუდს უნდა ერკინოს. ესკუდის თემა აქვე რომ ამოვწუროთ, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ იმ დღეს მან ძალზედ დამაჯერებლად სძლია შარშანდელ მეროლანგაროსე ალ კოსტას, რომელსაც — თავის მხრივ — საიმსეზონო სლემწარმატების შემდეგ ხეირიანი კი არა, საერთოდაც ალარაფერი გაუკეთებია.

რაც შეეხება საფინს, მან კიკინიან ბელგიელს, ქსავიე მალისს აჯობა და ახლა უფროს თვისტომს, ევგენი კაფელნიკოვს შეეხლება. „ყველამ კარგად იცის, რომ მე არ მინდა მასთან წაგება, ხოლო მას — ჩემთან. ასე რომ, დიდ ომს იხილავთ“ — ამბობდა საფინი.

დანარჩენი შეხვედრებიდან კი ორიოდ სიტყვას როჯერ ფედერერის მიერ 29 წლის შვედის, ტომას ენკვისტის ძლევა იმსახურებს. ნიჭიერ შვეიცარიელს, რომელმაც მარსელში კარიერის მე-5 ტიტული მიითვალა, 19-გზის მეტიტულე შვედთან მათი წინა სამივე მატჩი დაეთმო და ამდენად ეს მოგება განსაკუთრებით ეამა.

**KROGER ST. JUDE**
**მემფისი. ჰარდი**
**კაცები. საპრიზო 690 ათასი $**

### პირველი წრე

**ჯეიმს ბლეიკი (3, აშშ) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:0; ჟან-მაიკლ გემბილი (5, აშშ) — ზელკო კრაიანი (ხორვატია) 4:6, 6:3, 6:4; დავიდე სანგვინეტი (იტალია) — ტოდ მარტინი (6, აშშ) 7:6 (7:1), 6:3; ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:3, 6:4; ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — ბობ ბრაიანი (აშშ) 6:3, 6:3**

შარშანდელმა ფინალისტმა ჯეიმს ბლეიკმა უსახელო ჩეხის, ირჟი ვანეკის გაჯორვას მხოლოდ 39 წუთი მოანდომა და მეორე წრეში ირაკლი ლაბაძესთან იჩოგნავებს.

იმ დღეს კიდევ ოთხმა ამერიკელმა ითამაშა და აქედან ბლეიკის კვალს ერთი — ჟან-მაიკლ გემბილიღა მიჰყვა. დანარჩენებმა კი ჩაიფლავეს და ამათ შორის აღმოჩნდა 1993-96 წლებში ზედიზედ ოთხ ფინალში ნაპაექრები და 1994-95 წლებში ზედიზედ ორჯერ გაჩემპიონებული ტოდ მარტინი.

შებერებული ტოდი ჭაღარათმიანმა დავიდე სანგვინეტიმ, შარშანწინდელ ფინალში მარკ ფილიპუსისგან ძლეულმა იტალიელმა მეჩოგნემ აოტა.

**COPA AT&T**
**ბუენოს აირესი. თიხა**
**საპრიზო 380 ათასი $**

### მეორე წრე

**კარლოს მოია (1, ესპანეთი) — ედგარდო მასა (არგენტინა) 6:2, 6:2; დავიდ ნალბანდიანი (2, არგენტინა) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:1, 6:3; ლუის ორნა (პერუ) — ნიკოლას ლაპენტი (7, ეკვადორი) 6:3, 6:4; გილერმო კორია (8, არგენტინა) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:4, 2:6, 6:3**

ტურნირის პირველი მოულოდნელობა მეორე წრეში აღინიშნა — უსახელო პერუელმა ლუის ორნამ მეშვიდე ნომრად განთესილი ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი დაიმორჩილა და ბუენოს აირესულ სანოგნეის პირველი განთესილი მოაკლო.

ორნა, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციის 89-ე საფეხურზე დგას, წინა სამი ტურნირიდან პირველსავე წრეებში დაითხოვეს, მაგრამ მისი მეტოქე იმ დღეს ისეთი მობოშებული იყო, უარეს ვინმესთანაც წააგებდა.

სხვაფრივ — დამაჯერებლად გაიარჯნენ ტურნირის მთავარგანთესილნი, კარლოს მოია (1) და დავიდ ნალბანდიანი (2).

მოია ტურნირის 1995 წლის გამარჯვებულია და აქვე იმის ცოდნაც ხამს, რომ 11 საკარიერო ტიტულიდან ბუენოსაირესული მისი პირველი ტიტული გახლავთ. ამიტომ იქ ჩოგნაობას მისთვის ნიადაგ გამორჩეული მოტივაცია აქვს ხოლმე.

უმოტივაციობას არც ნალბანდიანი უჩივის, ვისაც წარმატებულად სწრაფ კორტებზეც უთამაშია, თუმც ჯიშად მეთიხნარეს მშობლიურ წითელმიწაზე თამაშს მაინც არაფერი ურჩევნია.

**DUBAI DUTY FREE WOMEN'S OPEN**
**ჰარდი. საპრიზო 585 [illegible]**

### მეორე წრე

**ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — ანკა ბარნა (გერმანია) 1:6, 6:2, 6:[illegible]; ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:2, 2:6, 7:6 (7:5); ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 6:2, 6:1; ანასტასია მისკინა (5, რუსეთი) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3, 6:2; ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) — პატი შნიდერი (6, შვეიცარია) 6:1 (შნიდერმა შეწყვიტა); იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — მაგდალენა მალეევა (7, ბულგარეთი) 7:6 (7:2), 7:5; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ელენი დანილიდუ (8, საბერძნეთი) 6:4, 6:7 (7:9), 6:2**

მეორე წრეში ერთბაშად სამი განთესილი წააგებინეს, მაგრამ ამაზე საუბარს სჯობს, დღედღე ლოდივით ასამაზრებელი ჯენიფერ კაპრიატის შესახებ გავიგოთ.

გეხსომებათ — ჯენიმ გასულ ნოემბერში თვალების ოპერაცია გაიკეთა და იმის გამო, რომ ადრეგაზრდილი გამოსწორებული მხედველობა ვერ გაეწვია, ავსტრალიის ღია პირველობაზე ტიტულის დასაცავად ბრძოლა პირველსავე წრეში შეწყვიტა. მას შემდეგ თვეზე მეტი დრო გამოხდა და ჩანს, ჯენის ახლა ყველაფერი რიგზე აქვს — ყოველ შემთხვევაში, 17 წლის რუსი გოგო კუზნეცოვა მან იმ დღეს 61 წუთში და დასტურ უმოწყალოდ გაჟუჟა.

კაპრიატი: „ავსტრალიური ალერგიული ერთგვარად დამეხმარა კიდეც, რადგან კარგად დავისვენე და ახლა მოვედი მეტი ძალით. ნაცვლად კი კორტს მივეჩვიენდი და, რაკიღა ძალიან მონდომებული ვიყავი, ბლოკად და შესანიშნავ ფორმაში ვგრძნობ. მე ვფიქრობ, ახლა რიგიან ფორმაში ვარ და მიხარია, მეორე წრეში რომ გავედი“.

ჯენისგან განსხვავებით სამ-სამსეტიანი მატჩები გადახადეს შარშანდელ ჩემპიონ ამელი მორესმოსა და ტურნირის პირველმეჩოგნე ენენ-არდენს. პირველს უნგრელი მანდულა გაუძალიანდა, მეორეს — გერმანელი ბარნა.

**ლევან კელაურაძე**

— 20 თებერვალი —

**როტერდამი**

**მეორე წრე**

**ფედერერი — სანტორო 6:0, 6:4; ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — ბიორკმანი 6:4, 6:1**

**დუბაი**

**მეოთხედფინალი**

**კაპრიატი — მარტინესი 6:2, 6:3; მორესმო — კრასნორუცკაია 6:2, 6:4; მონიკა სელეში (4, აშშ) — ტულიაგანოვა 6:1, 7:5; ენენ-არდენი — მისკინა 6:1, 6:4**



# რაც კარგია, თეთრიც კარგია, შავიც კარგია

**სერენა უილიამსი** ქალმეჩოგნეთა შეუცილებელი უსტაბაშია და ამას — დამთრგუნველი ბურთაობის გარდა — თავისი სხეულებრივი ალმატებულობის ხშირი დემონსტრირებითაც ასაბუთებს. ამიტომაც იმ ტურნირთა მიმოხილვისას, სადაც სერენაც ჩოგნაობს, მის თამაშზე საუბრის გვერდით მისი შილიფი, გამომწვევი სამოსლის დაწვრილებითი აღწერაც გვიხდება. ეგ მით უფრო, რომ თავად უმცროსი შავდა მის მიერ მოხდენილ გარეგნულ ეფექტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ნიადაგ საგანგებოდ იკაზმება ხოლმე.

ამ ჯერზე ვითარება სხვაგვარია — რიჩარდის ასული არსად არ თამაშობს, თუმცა მის სამოსზე საუბარი მაინც გვიწევს. სამოსი — აკი თავადაც ხედავთ — ქათქათა თეთრეულით შემოიფარგლება და ჩვეულებისამებრ მძვინვარე სერენას ერთგვარ ქალურ კდემამოსილებასაც სძენს. ყველაზე შთამბეჭდავი ის არის, რომ თეთრი ქსოვილი მისი შავი სხეულის ავლა-დიდებას ზედმიწევნითა და დასტურ დაშხოშიანად წარმოაჩენს.

ამგვარად შემოსილი სერენა პირველად ამერიკული ჟურნალის, „სპორტს ილუსტრეიტიდის“ რედაქციაში იხილეს...

ზედიზედ ოთხგზის მესლემტიტულე გოგო, ვინაც ახლა დიდი სლემის ოთხსავე ტიტულს ერთდროულად ფლობს და ამით ოდინდელ დიადებს — მორინ კონოლის, მარგარეტ კორტს, მარტინა ნავრატილოვასა და შტეფი გრაფს გასტოლებია, ამ ფოტოს მეშვეობით კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მთელს ქალთა ჩოგბურთს ის ორი ბარაქიანი მკერდით უსწრებს.



NBA რეგულარული ჩემპიონატი

# გარნეტმა დენვერს ცენტრიდან გაუტანა

19 თებერვალი

**დენვერი 77:85 მინესოტა**

**დენვერი:** ჰარინგტონი (5), იარბრო (18), ჰოვარდი (17), ბოუენი (2), ილარიო (8); ცქიტიშვილი (23 წუთი, 3 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ვაიტი (11), ვიტნი, ანდერსენი (11), ბლუნტი (2)
**მინესოტა:** ჰადსონი (7), შჩერბიაკი (24), პილერი (7), გარნეტი (25 ქულა, 14 მოხსნა), ნესტეროვიჩი (7); გილი (6), ტრენტი (2), უილკსი (5), ჯეკსონი (2)

**ტორონტო 84:89 დეტროიტი**

**ტორონტო:** პეტერსონი (20)
**დეტროიტი:** ბილაფსი (18)

**იუტა 87:93 ლეიკერსი**

**იუტა:** მელოუნი (25)
**ლეიკერსი:** ბრაინტი (40)

**ფინიქსი 89:107 ჰიუსტონი**

**ფინიქსი:** მარიონი (24)
**ჰიუსტონი:** რაისი (23)

**პორტლენდი 125:98 გოლდენ სტეიტი**

**პორტლენდი:** ველსი (29)
**გოლდენ სტეიტი:** არენასი (22)

**კლიპერსი 110:104 მილუოკი**

**კლიპერსი:** მეჯიტი (23)
**მილუოკი:** კასელი (21)

**ნიუ ორლეანი 87:75 ვაშინგტონი**

**ნიუ ორლეანი:** მაშბურნი (24)
**ვაშინგტონი:** ჯორდანი (20)

**ჩიკაგო 82:110 ფილადელფია**

**ჩიკაგო:** როუზი (20)
**ფილადელფია:** აივერსონი (28)

**სიეტლი 103:94 ნიუ იორკი**

**სიეტლი:** პეიტონი (31)
**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (22)

ნიკა ცქიტიშვილის მინესოტელთა კალათში ნასროლი 4 სამქულიანიდან 2 გამორჩეული მნიშვნელობისა იყო. პირველი „დენვერის" ქართველმა ახალბედამ მესამე მეოთხედის ბოლოს წამზე ისროლა, ჩააგდო და „ნაგიტსი" 65:63 დააწინაურა. მეორე კი საფინალო სირენამდე წუთით ადრე გაისროლა და რომ ჩაეგდო, ორ ქულამდე შეამცირებდა „დენვერის" ჩამორჩენას.

წაგებასთან დამეგობრებული „დენვერი" ახლოს იყო წარმატებასთან და ბოლო წუთზე ქართველს რომ გამართლებოდა, ვინ იცის, მრისხანე კევინ გარნეტისგან ნაშოვნი გამარჯვებებით ჩასუქებული „მგლები" მშივრებიც დარჩენილიყვნენ. ცქიტიშვილის გაცუდებული სროლა გარნეტმა მოხსნა. იგი მოედნის ცენტრს ოდნავ იყო გადაცილებული, ჩვენებურს რომ უთხრა, აგერ, ძამიკო, სამქულიანის სროლა ასე უნდაო და... „დენვერისთვის" ყველაფერი დასრულდა.

ამ მატჩში გარნეტმა 25 ქულა და 14 მოხსნა, ანუ ორმაგი დუბლი გააფორმა, რომელიც მისთვის სეზონში 44-ე იყო. „მინესოტას" მწვრთნელ ფლიპ სანდერსს კი დაუჯერებია, გარნეტი სეზონის უძვირფასესი უნდა გახდესო.

თუ ახლა ვინმე აქედანვე უძვირფასესად შეიგულება, ეს პირველ რიგში ლეიკერსელი კობი ბრაიანტია. ჩემპიონთა ბომბარდირს გულში სერიოზულად ამოუჩრია საუკეთესოობა და „ლეიკერსსაც" მეტი რა უნდა, კობი ქულებს იხვეჭს, მისი გუნდი კი გამარჯვებებს და მაღლა-მაღლა მიიწევს. სეზონის დასაწყისში ცხრილის ფსკერს გაჩვეული ლოსანჯელესელები უკვე გაერივნენ მეპლეიოფეთა მარაქაში, მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა გულის დაარხეინება, „ჰიუსტონი", „ფინიქსი", „იუტა" — აი, მათი მთავარმეტოქენი და ამ ოთხიდან სავარაუდოდ ერთი უნდა დარჩეს განზე. გუშინწინდელმა დღემ სწორედ ეს კვარტეტი დააწყვილა: „ფინიქსი" შინ დაუხვდა „ჰიუსტონს", „ლეიკერსი" კი სოლტ ლეიკ სიტიში ჩავიდა „იუტასთან" საომრად.

შაკილ ონილი კვლავ მუხლს უჩიოდა, აგრეთვე ბრაიანტიც, მაგრამ კობი მაინც გავიდა „ჯაზმენებთან" საბურთაოდ და თავისი პროგრამა-მინიმუმი, 40 ქულა შეასრულა. ეს პროგრამა კობის აქეთ სეზონის უძვირფასესობისთვის სჭირდება, იქით მეტული კარუზოების რეკორდების დასამხობად. ბრაიანტი მიუახლოვდა მიჯრით ცხრა 40-ქულიანი მატჩის მიმთვლელ მაიკლ ჯორდანს, თუმც ლეგენდარულ ბომბარდირ უილტ ჩემბერლენამდე კიდევ ბევრი უკლია. ადრეულ, 1961-62 წლების სეზონში ჩემბერლენმა მიყოლებით თხუთმეტი 40-ქულიანი მატჩი გამოაცხო. ბრაიანტი ჯერ მეშვიდეზეა.

„მე მართლაც არ ვიცი, რა ხდება. მხოლოდ იმას ვაცნობიერებ, რომ ჩემი ქულები „ლეიკერსს" აგებინებს. როცა გადავიწყები და ჩვეულებრივი მეჩულე გავხდები, ალბათ მერე მივხვდები, ამ ჯადო-მატჩების რეალურ არსს" — უთქვამს კობის.

„ლეიკერსმა" კი, კობის შემწეობით ისევ მოიგო და პლეი ოფის ზღვრულ, მე-8 ადგილზე „ჰიუსტონს" შეუამხანაგდა... „ჰიუსტონმა" თავის მხრივ „ფინიქსი" მოიგერია. „როკეტსის" ახალბედა იაო მინგმა „ფინიქსთან" ამასწინანდელ მატჩში შერცხვენისთვის სამაგიერო გადაუხადა ასევე ახალბედა ამარე სტუდემაიერს. ამარე არ არის გამოკვეთილი ცენტრი, მაგრამ ძალა ერჩის და არაერთ თანამპლუელისთვის უსწავლებია ჭკუა. ახლაც სტუდემაიერი ბევრს ეჯაჯგურა ჩინელ აზმახს, მაგრამ ფარზე ბრძოლა პირწმინდად წააგო. მინგმა კი ჩინური (ალბათ) კომპლიმენტი უძღვნა შეუპოვარ სტუდემაიერს: ამარე 28 წლის კაცს ჰგავს, თუმც ჯერ 20 წლის ყმაწვილიაო.

**ირაკლი პერტაია**



ამჟამად ნბა-ში კობი ბრაიანტის გამჩერებელი კაცი ვერ მოიძებნა

| ადმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 36 | 18 | 66,7 |
| ბოსტონი | 31 | 23 | 57,4 |
| ფილადელფია | 29 | 24 | 54,7 |
| ორლანდო | 26 | 29 | 47,3 |
| ვაშინგტონი | 25 | 28 | 47,2 |
| ნიუ იორკი | 23 | 30 | 43,4 |
| მაიამი | 18 | 36 | 33,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 37 | 16 | 69,8 |
| ინდიანა | 37 | 17 | 68,5 |
| ნიუ ორლეანი | 29 | 27 | 51,8 |
| მილუოკი | 27 | 26 | 50,9 |
| ატლანტა | 20 | 34 | 37,0 |
| ჩიკაგო | 19 | 36 | 34,5 |
| ტორონტო | 16 | 36 | 30,8 |
| კლივლენდი | 10 | 44 | 18,5 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 41 | 12 | 77,4 |
| სან ანტონიო | 37 | 16 | 69,8 |
| მინესოტა | 34 | 21 | 61,8 |
| იუტა | 32 | 22 | 59,3 |
| ჰიუსტონი | 28 | 25 | 52,8 |
| მემფისი | 16 | 36 | 30,8 |
| დენვერი | 12 | 43 | 21,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 37 | 18 | 67,3 |
| პორტლენდი | 35 | 18 | 66,0 |
| ფინიქსი | 30 | 24 | 55,6 |
| ლეიკერსი | 28 | 25 | 52,8 |
| გოლდენ სტეიტი | 24 | 30 | 44,4 |
| სიეტლი | 22 | 30 | 42,3 |
| კლიპერსი | 19 | 34 | 35,8 |

# ბიზნესს ზნე არა აქვს ორლანდომ ჯიგარი გაყიდა

**20 თებერვალი,** ხუთშაბათი, ნბა-ში დედლაინის დღე იყო, მოთამაშეებით უკმაყოფილო გუნდებს გაცვლების გაკეთების ბოლო შესაძლებლობა ჰქონდათ. დედლაინს ჩვეულებრივ დიდი აჟიოტაჟი ახლავს, ბევრი გუნდი სიამოვნებით იყენებს შემადგენლობის შეცვლის უფლებას, მაგრამ წლეულს ყველაფერი ერთი გაცვლით დამთავრდა. „ორლანდომ" „მემფისში" გაუშვა ორი მოთამაშე, მაიკ მილერი და რაიან ჰემფრი, სანაცვლოდ კი ასევე ორი კალათბურთელი, ახალბედები დრიუ გუდენი და გორდან გირიჩეკი მიიღო.

ყველაფერი ძალიან მარტივად მოხდა. „ორლანდოს" ჰაერივით სჭირდებოდა ხეირიანი მეფარე (თავდამსხმელი ან ცენტრი), „მემფისს" კი ორი თავდამსხმელი ჰყავდა — მეორეწლიანი პაუ გასოლი და ახალბედა დრიუ გუდენი. გასოლი „დათვების" ლიდერია, წინა სეზონის საუკეთესო ახალბედაა, ამიტომაც „მემფისის" ბოსი ლეგენდარული ჯერი ვესტი იოლად შეელია გუდენს. მთლიანობაში გაცვლით გუდენიც კმაყოფილი უნდა იყოს. ის ძველ გუნდში ყოველ მატჩში საშუალოდ 12,1 ქულას და 5,8 მოხსნას (მე-5 შედეგები ახალბედებში) აკეთებდა და თუ „ორლანდოს" სასტარტო ხუთეულში ადგილს უბოძებს, ახალ გუნდს მეტის გაკეთებას ჰპირდება. „ორლანდოსთვის" მნიშვნელოვანი შენაძენია გორდან გირიჩეკიც, ასევე რიგიანი ახალბედა, ხორვატი სნაიპერი.

ეგაა, „ორლანდოს" ხელმძღვანელებს გული სწყდებათ მილერზე. ტრეისი მაკგრეიდის შემდეგ ის გუნდის მეორე მეჩულე (16,4 ქულა) და კარგი ჯეელი იყო. „ეს რთული ბიზნესია და მაიკის დაკარგვა მაწუხებს, ის ხომ ჩემი საყვარელი მოთამაშე იყო. მაგრამ მაინც, ჩვენ გვჯერა, რომ ეს იყო გუნდის ხსნის ერთადერთი შანსი" — ამბობს „ორლანდოს" მწვრთნელი დოკ რივერსი.

რაც შეეხება გაცვლაში მოყოლილ ოთხ მოთამაშეთაგან საუკეთესოს, თავად მაიკ მილერს, სხვა გუნდში გადაბარგებას ის არ უნდა განიცდიდეს. მართალია, მისი ახალი გუნდი, „ორლანდოზე" ნაკლებ ამბიციურია, მაგრამ სამაგიეროდ, მილერი იქ უფრო ფართოდ გაშლის ფრთებს.

**კოტე ყორშია**



NHL რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

კალგარელმა ბობ ბუგნერმა დალასელი ბილ გერინი წაიგდო

# ფიგურული სრიალი პროგნოზის ყინულზე

19 თებერვალი

**ნიუჯერსი 3:5 ოტავა** *0:2 0:1 3:2*

0:1 ჰავლატი (1), 0:2 ჰოსა (9), 0:3 ჰავლატი (36), 1:3 ნიდერმაიერი (45), 2:3 ფრიზენი (49), 3:3 ნუინდაიკი (53), 3:4 ბონკი (59), 3:5 ჰოსა (60)

**ბუფალო 2:1 მონრეალი** *0:1 1:0 0:0 1:0*

0:1 ბულისი (17), 1:1 ვარადა (37), 2:1 შატანი (64)

ზედიზედ მე-7 სეზონია, ბუფალოელი მიროსლავ შატანი 20-გოლიან ზღვარს აღწევს. ამჯერად სლოვაკის გოლის წყალობით მისმა აუტსაიდერმა გუნდმა მეჩვიდმეტედ მოიგო. თავად შატანს ახლა ერთი სული აქვს, რაც შეიძლება მალე დადგეს „დედლაინი" და სხვა გუნდში ამოყოს თავი. ყოველ შემთხვევაში, მისი შეძენის მსურველი საკმაოდ ბევრია.

**ტამპა 2:0 ატლანტა** *0:0 0:0 2:0*

1:0 სან ლუი (47), 2:0 რიჩარდსი (49)

**კაროლინა 1:1 ბოსტონი** *1:0 0:0 0:1 0:0*

1:0 ონილი (12), 1:1 როლსტონი (54)

არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ, რომ ნჰლ-ში შედეგის გამოცნობა თითქმის შეუძლებელია. აქ ქულებს არავინ არიგებს, ისიც კი, ვისაც სახო წარკვეთია. აი, თუნდაც კაროლინა აიღეთ. შარშანდელმა ფინალისტმა ეს სეზონი ჩააფლავა, მაგრამ პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლ ბოსტონს ქულაზე მეტი არ დაუთმო. ისიც ბოსტონმა მხოლოდ ძირითადი დროის მიწურულს გამოჰგლიჯა ხელიდან.

**მინესოტა 2:4 რეინჯერსი** *1:2 1:1 0:1*

0:1 მაკარტი (7), 1:1 ბრიუნეტი (9), 1:2 ლიჩი (10), 1:3 მესიე (28), 2:3 გოლტოკი (31), 2:4 პოლიკი (57)

ზემოთ ნათქვამის კიდევ ერთი დადასტურება ამ თამაშის შედეგია. რეინჯერსმა უკვე შეგვაჩვია მისი თამაშების პროგნოზირებაზე ხელის აღებას.

**დალასი 1:1 კალგარი** *0:1 0:0 1:0 0:0*

0:1 საპრიკინი (5), 1:1 იანგი (56)

აი, მორიგი შეტევა პროგნოზისტებზე. აქ კომენტარიც ზედმეტია, დასავლეთის ლიდერი და თავის ყინულზე საუცხოოდ მოთამაშე დალასი აუტსაიდერ კალგარის ძლივს დაუზავდა.

**სან ხოსე 0:3 აილენდერსი** *0:1 0:2 0:0*

0:1 პეკა (1), 0:2 იუსონი (24), 0:3 პეკა (31)

„ყველა იმედი გამიცრუვდა. როგორც კი მეტოქე 2:0 დაწინაურდა, ჩემმა ბიჭებმა ფარ-ხმალი დაყარეს. ძალიან დაბნეული ვარ". მატჩის შემდეგ ხელებს შლიდა სან ხოსეს თავკაცი რონ უილსონი. მისმა გუნდმა კვლავ აარიდა თავი ბრძოლას და ალბათ უკვე საბოლოოდ დაემშვიდობა პლეი ოფს... არადა, ჩემპიონატის დაწყებამდე სან ხოსეს ფავორიტებში მოიხსენიებდნენ

**ანაჰაიმი 2:0 კოლუმბუსი** 0:0 1:0 1:0

1:0 კარია (24), 2:0 რუჩინი (60)

ბოლო წლებში ულიმღამოდ მოთამაშე ანაჰაიმი წელს თავს მეფურად გრძნობს. ბოლო 19 მატჩიდან 13-ის მოგების შემდეგ პრაქტიკულად გადაწყდა „იხვების" პლეი ოფში გასვლა. შეგახსენებთ, რომ ბოლო სამი სეზონია, ანაჰაიმი სათასო ბრძოლის მიღმა რჩებოდა. წლეულს გუნდმა შემადგენლობა გადაახალისა. ახალბედა თავკაცც მაიკ ბაბკოკსაც სეზონის ბოლოს ვინძლო საუკეთესო მწვრთნელის ტიტულიც ერგოს.

**სამველ ლარიბიანი**

| ადმოსავლეთის კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 59 | 35 | 4 | 4 | 16 | 153:118 | 78 |
| ფილადელფია | 59 | 30 | 11 | 2 | 16 | 136:125 | 73 |
| აილენდერსი | 59 | 28 | 6 | 2 | 23 | 161:162 | 64 |
| პიტსბურგი | 59 | 24 | 4 | 5 | 26 | 153:170 | 57 |
| რეინჯერსი | 63 | 24 | 7 | 2 | 30 | 161:191 | 57 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ოტავა | 61 | 38 | 7 | 1 | 15 | 196:134 | 84 |
| ტორონტო | 59 | 33 | 4 | 1 | 21 | 169:143 | 71 |
| ბოსტონი | 59 | 28 | 6 | 2 | 23 | 172:163 | 64 |
| მონრეალი | 62 | 24 | 7 | 7 | 24 | 158:177 | 62 |
| ბუფალო | 58 | 17 | 7 | 5 | 29 | 127:157 | 46 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ვაშინგტონი | 61 | 28 | 7 | 3 | 23 | 170:160 | 66 |
| ტამპა | 60 | 25 | 9 | 5 | 21 | 166:167 | 64 |
| ფლორიდა | 59 | 17 | 11 | 9 | 22 | 138:175 | 54 |
| კაროლინა | 61 | 18 | 8 | 6 | 29 | 130:173 | 50 |
| ატლანტა | 59 | 20 | 4 | 4 | 31 | 157:209 | 48 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 60 | 31 | 8 | 5 | 16 | 194:157 | 75 |
| დეტროიტი | 59 | 30 | 9 | 3 | 17 | 175:150 | 72 |
| ჩიკაგო | 60 | 24 | 10 | 3 | 23 | 147:145 | 61 |
| ნეშვილი | 58 | 21 | 9 | 4 | 24 | 135:149 | 55 |
| კოლუმბუსი | 59 | 22 | 6 | 2 | 29 | 158:182 | 52 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 59 | 34 | 9 | 0 | 16 | 180:150 | 77 |
| კოლორადო | 58 | 27 | 11 | 6 | 14 | 169:143 | 71 |
| მინესოტა | 60 | 29 | 8 | 1 | 22 | 143:133 | 67 |
| ედმონტონი | 59 | 26 | 6 | 7 | 20 | 161:161 | 65 |
| კალგარი | 61 | 18 | 10 | 4 | 29 | 133:175 | 50 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 60 | 34 | 13 | 1 | 12 | 181:118 | 82 |
| ანაჰაიმი | 60 | 28 | 8 | 4 | 20 | 148:144 | 68 |
| ლოს ანჯელესი | 59 | 25. | 4 | 4 | 26 | 153:161 | 58 |
| ფინიქსი | 58 | 22 | 7 | 4 | 25 | 147:158 | 55 |
| სან ხოსე | 60 | 21 | 6 | 5 | 28 | 158:179 | 53 |

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური

# საქართველო — ესპანეთი

22 თებერვალი. თბილისი. «ეროვნული». 15 საათი

# 70/30 თქვენია

გუშინ თბილისში მთელი დღე ბარდნიდა, მაგრამ თოვლსა და სიცივეს ესპანელები არ შეუშინებია და დილით სასტუმრო „მეტეხის" ახლომახლო ირბინეს, მერე ტრენაჟორებზე დაძაბეს კუნთები, საღამოსკენ კი სარაგბო კლუბ „ორბელი-ლელოს" ბაზაზე სრულფასოვანი წვრთნა ჩაატარეს.

სასტუმროდან „ორბელი-ლელოს" ბაზამდე გვარიანი მანძილია. ჩვენი გზებისა კი კარგად მოგეხსენებათ. ჰოდა, რამდენჯერაც გასისინებულ „მერსედესის" ავტობუსს ორმო შეანჯღრევდა, ესპანელები იმდენჯერ ხელებს ასავსავებდნენ და ირონიულად იღიმებოდნენ. ერთმა იხუმრა, მგონი, მიწისძვრააო. სტუმრები გულმოდგინედ ათვალიერებდნენ თბილისის ქუჩებს. ყველაზე ცხოველ ინტერესს ტომით ტონგელი **სტივ ტუნიუ** იჩენდა. ეს კაცი პირველად არის საქართველოში და ფეშენებლური სასტუმროდან პირდაპირ

## ღარიბ ქვეყანაში ამდენ მერსედესს რა უნდა?

### ტონგელ ესპანელს ჩვენი გაჭირვება გაუკვირდება

ტროტუარებზე გაშლილ ბაზრობებსა და მიწურებიან ქუჩებში რომ აღმოჩნდა, ცოტა არ იყოს, შეცბა. ბაზამდე კიდევ კარგა ხნის სავალი იყო, მეც ვიდროვე და გამოველაპარაკე ტუნიუს, მის ცნობილ თვისტომ ლომუს რომ ჩამოჰგავს.

**— არ მოგეწონათ თბილისი?**

— ჯერ მხოლოდ ეს არის, რაც ვნახე. იმედია, წასვლამდე ღირსშესანიშნაობებს დავათვალიერებ. ვიცოდი, რომ საქართველოში ღარიბად ცხოვრობთ და ძალიან გამაკვირვა ამდენმა პრესტიჟულმა მანქანამ. ბოლო მოდელის „მერსედესები" და BMW-ები დაქრიან. ესპანეთშიც კი ვერ ნახავთ ამდენ ძვირადღირებულ ავტოს.

**— ტონგელი კაცი ესპანეთის ნაკრებში როგორ აღმოჩნდით?**

— უკვე ათი წელია, ესპანეთში ვცხოვრობ და მოქალაქეობაც მივიღე. თქვენი არ იყოს, ტონგაშიც ხალხი გაჭირვებულად ცხოვრობს. ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ გვიწევს ხეტიალი. ზოგი ახალ ზელანდიაში მიდის, ზოგიც ევროპაში. მე ესპანურ კლუბში მოვეწყვე და შეიძლება ითქვას, გამიმართლა. ნაკრებში თამაშიც შემომთავაზეს, დავთანხმდი, ვინაიდან ნაკრებში ცალკე ხელფასი დამინიშნეს.

**— საქართველოს ნაკრებზე რა იცით?**

— ძალიან ძლიერი გუნდია, შარშან მადრიდში უპრობლემოდ მოგვიგეს, ალბათ ახლაც დაგვამარცხებენ, ოღონდ ცოტა გაუჭირდებათ.

**— მთლად უიმედოდ ხართ?**

— არა, რატომ. გამარჯვების იმედი ჩვენც გვაქვს, ოღონდ ეს მხოლოდ იმედია. რეალურად საქართველო ესპანეთზე ძლიერია.

ტუნიუსთან საუბარს კიდევ გავაგრძელებდი, მაგრამ ავტობუსი „ორბელი-ლელოს" ბაზას მიადგა და სტუმრებმაც ჩანთებს დაავლეს ხელი. ჩაბნელებულ გასახდელში ესპანელებმა სიცილ-ხორხოცით გამოიცვალეს.

მალე შევიტყვე, რომ მათმა ფრანგმა მწვრთნელმა პიერ პერესმა მიიხმო და ვარჯიშიც დაიწყო. პერესი მამით ესპანელია, მაგრამ საფრანგეთის სამხრეთში დაბადებულ-გაზრდილა. როცა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს, უმალვე დათანხმდა. სანამ პერესი მისიანებს სიქას აცლიდა, ერთი ახალგაზრდა მომიახლოვდა, მწვრთნელის თანაშემწე ვარო და **კიკე მარტინესად** გამეცნო. ეს ჩვენი ახალგაცნობილი კიკე ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა. ჯერ იყო და, ესპანეთის სპორტის მინისტრს მისდგა და გვარიანადაც გამოლანძღა, ეგ ქალების რაგბის აფინანსებს და ჩვენ კაპიკებს გვაძლევს, ისიც ათასნაირი გზებით თუ დავცინცლავთო, მერე დაიჩივლა, ესპანეთში კაცი მორაგბეების დეფიციტიაო. კიკეს თქმით, ესპანელ კაცთა 20 პროცენტი ჰომოსექსუალისტია, 20 ნარკომანი ან ლოთი, 40 პროცენტი ფეხბურთს თამაშობს, დანარჩენებს სპორტი არ აინტერესებთო. მორაგბე კაცი უნდა იყო და არა ქალაჩუნაო.

„უნდა ნახო, იტალიაში რა ხდება — განაგრძობს კიკე — მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში იტალიას ვეთამაშებოდით. იტალიელმა მორაგბეებმა მატჩამდე ბრიოლინით დაივარცხნეს თმა. მერე ისეთი მოკლე მაისურები ეცვათ, ჭიპები უჩანდათ. ერთიორი თუ ჰყავთ ისეთი, კაცის იერი რომ აქვს, დანარჩენები პიჟონები არიან და ჰომოსექსუალისტებს ჰგვანან."

ცნობისთვის: ეს ის იტალიაა, ამ დღეებში ექვსი ერის მატჩში უელსი რომ გაანადგურა.

კიკესთან საუბარში ვიყავი, როცა მწვრთნელმა ვარჯიში დაასრულა და ტალახში ამოგანგლული ესპანელები ბუცების წმენდას შეუდგნენ. ულვაშა **პიერ პერესაც** ამ დროს გავესაუბრე.

**— მომავალ მატჩზე რას იტყვით?**

— მძიმე ბრძოლა იქნება, პორტუგალიასთან მარცხის შემდეგ საქართველო ეცდება შთამბეჭდავად მოიგოს. რა თქმა უნდა, მოგებაზე უარს არც ჩვენ ვიტყვით, მაგრამ შედეგს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ჩვენ ახლა მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის მატჩისთვის ვემზადებით. გეცოდინებათ, სულ მალე ტუნისს ვხვდებით.

**— საქართველოს ნაკრებზე რა იცით?**

— ბევრი რამ. თქვენების თამაშის ვიდეოფირი ვნახე და რაღაც-რაღაცები ჩავინიშნე. კარგად ვიცნობ კლოდ სორელს. საფრანგეთში რამდენჯერმე შევხვედრივარ. ნანახი მაქვს ლევან ცაბაძის, ვანო ნადირაძის, ჯიმშელაძის თამაში. გვარები სწორად წარმოვთქვი? კიდევ, ძლიერი შერკინება და სწრაფი უკანახაზელები გყავთ.

**— შანსებს როგორ აფასებთ?**

— სამოცდაათი ოცდაათზე თქვენების სასარგებლოდ. სასწაული იქნება, ჩვენ რომ მოვიგოთ!

ავტობუსისკენ მიმავალ ესპანელებს ცოტათი ჩამორჩა წარმოშობით უკრაინელი **ანდრეი კოვალენკო**, რომელიც ცხრა წელია, ესპანეთში ცხოვრობს და სტუმართა გუნდში პირველი მეძულეა, მის ანგარიშზე 104 ქულაა.

**— ანდრეი, რუსეთთან განადგურების შემდეგ როგორ ხასიათზე ხართ?**

— ნუ გამახსენებთ მაგ მატჩს. ცნობილი ამბების შემდეგ რუსები გაბოროტებული გამოვიდნენ მოედანზე და თამაშში ყველაფერი ჩადეს. ვიაჩესლავ გრაჩოვმა და სერგეი სერგეევმა კი გადაგვიარეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

**— საბჭოთა რაგბის სკოლაგამოვლილი ხართ, ქართველი მორაგბეებიდან ვის იცნობთ?**

— მე და შოთა მოდებაძე საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში ვთამაშობდით. გია ლაბაძეს რუსეთის ჩემპიონატიდან ვიცნობ, ვმეგობრობდით კიდეც. იმედია, ვნახავ და ძველ ამბებს გავიხსენებთ.

**— ლაბაძე არ ჩამოსულა, საფრანგეთში ბავშვი შეეძინა და იქ დარჩა.**

— კარგი ამბავია. როცა ნახავთ, ჩემს მაგივრად მიულოცეთ.

**— შაბათს ვის ექნება საქმე მისალოცად?**

— ალბათ ქართველებს, თქვენი ნაკრები ძლიერია და ფავორიტიც ის არის.

**ბაჩო სვანიძე**



სტივ ტუნიუ



ანდრეი კოვალენკო



პიერ პერესი

ბადრი კეთილაძის ფოტოები

**საქართველოს რაგბის კავშირი სამძიმარს უცხადებს ვასილ ჩიგოგიძეს მეუღლის ანა ომიაძის გარდაცვალების გამო**



ბადრი კეთილაძის ფოტო

# Hello Georgia, Thank You England

**გუშინ** კინოთეატრ „ამირანში" ქართული სარაგბო თემი დიდპატარიანად შეიკრიბა. მიზეზი რაგბის მხარდამჭერთა ლიგისა და ინგლისის რაგბის კავშირის ერთობლივი აქცია იყო. ამათი ძალისხმევით ყველა ქართულ კლუბს ინგლისის ნაკრების ეკიპირება დაურიგდა. არც ვეტერანები დავიწყებიათ, საჩუქრები მათაც ერგოთ. ზოგს ინგლისის ნაკრების მაისურა, ზოგს ვარდით დამშვენებული კეპი და ნაქსოვი ქუდი შეხვდა.

აქციაში მონაწილეობდა საქართველოში ბრიტანეთის ვიცე-კონსული პიტერ ფორდი, რომელიც უწინ მორაგბე ყოფილა. სხვათა შორის, ფორდი სპორტის დიდი ქომაგია და თბილისში გამართულ საფეხბურთო თუ სარაგბო მატჩებისას ხშირად ნახავთ ფოტოაპარატით ხელში. სპორტული ფოტოების გადაღება მისი ჰობია.



### ამ ბრძოლას მისისიპის წყალი წაიღებს

# ცრუთა აღლუმი

### ტაისონი და ეტიენი საჩხუბრად ემზადებიან



**მისისიპის** ნაპირებიდან მოვიდა ახალი და მაინც მოსალოდნელი ამბავი:

მაიკ ტაისონ — კლიფორდ ეტიენის ბრძოლა მემფისის „პირამიდში" დათქმულ დროს, შაბათს, 22 თებერვალს გაიმართება. როგორც მოგეხსენებათ, ტაისონმა გრიპი და კუჭის ბუყბუყი მოიმიზეზა და ბრძოლის გადატანა მოითხოვა.

კრივის საქმოსნები ორშაბათს უსიამოვნებამ მოიცვა რადგან მემფისში დაგეგმილი დიდი შოუ ჩავარდნის პირას მივიდა. ტაისონი უქმეების მიწურულს უნდა ჩასულიყო მემფისს და მისისიპისპირა კაზინოებში საჩვენებელი ვარჯიშები უნდა გაემართა, მაგრამ, ერთი რომ, ლოყა მოისვირინგა, მეორეც, მწვრთნელი ფრედი როუჩი გაექცა, შენ ვარჯიშზე გული აგიყრიაო, მესამე კიდევ, ჰონორარის განახევრება ეწყინა, მეოთხე კი ის იყო, გრიპი მართლა შეეყარა და ამიტომ თქვა, აღარ ვიკრივებო.

მაგრამ სამშაბათ დილას ტაისონმა ლას ვეგასში გამოაცხადა, მემფისს მივფრინავ ეტიენთან საბრძოლველადო. ამან პანიკაში ჩააგდო როუჩი, მზად არა ხარო, ხოლო ტაისონის მეგობარი და ჯანის გამწრთობი ჯეფ ფენეჩი სულაც მშობლიურ ავსტრალიაში გაფრინდა.

ეს კიდევ არაფერი... იმ ვითომ შავმა მარტორქამ, ტაისონისგან გასაბერტყად გამზადებულმა კლიფორდ ეტიენმა გამოაცხადა, მასხარა ხომ არა ვარ, ჩხუბის ხალისი წამერთო და მემფისში აღარ წავალო. ყოველივე კი ჩაწყნარდა ოთხშაბათ სისხამზე, როცა ტაისონი კერძო თვითმფრინავით მემფისს ჩაფრინდა, ეტიენმა კი თავის მრჩეველ ლეს ბონანოს დაურეკა და უთხრა: ვიჩხუბებო.

ტაისონი მდინარისპირა ტუნიკაში „გრანდ კაზინოში" ვარჯიშობს დახურულად.

ისინი აწონვის რიტუალსაც გაივლიან და ერთობლივ პრესკონფერენციასაც ჩაატარებენ.

ტაისონი მალულად ვარჯიშობს, რადგან ერმა და ბერმა იცის, რომ ერთი კვირაა, მუშტი არ გაუქნევია და ფორმაში ვერ არის, სამაგიეროდ, მარცხენა ლოყაზე აკრულ სვირინგს არ მალავს. „გრანდ კაზინოში" შეჭყეტილები ამბობენ, რომ ოთხი რაუნდი მძიმე სპარინგი ღირსეულად გაუვლია.

ბრძოლის წინარე მძიმედ სპარინგობა მიღებული არ არის, მაგრამ საბრალო მწვრთნელ როუჩს სხვა გზა აღარ დარჩენია, რათა მაიკლი ფორმაში მოიყვანოს.

„სპარინგი ბრძოლამდე ორი კვირით ადრე თავდება" — თქვა როუჩმა — „მაგრამ ახლა დაძაბული გრაფიკით ვემზადებით. მთავარია, რომ მაიკი ხასიათზეა და ოფლსაც ალალად ღვრის".

მთელს ამ ისტორიას ეჭვით უმზერს ეტიენის მენეჯერ-მრჩეველი ბონანო:

„ეს თამაშია. ისინი ცრუობენ, რომ ტაისონი არ ვარჯიშობდა. სპექტაკლი შემოგვთავაზეს. თავიდანვე იცოდნენ, რომ ბრძოლა შედგებოდა. ეს ულირსი ფანდებია".

თავის მხრივ, როუჩი ამბობს, რომ ეტიენიც თაღლითობდა, რადგან სურდა, რომ ერთ მილიონამდე გაეზარდა თავისი გასამრჯელო და ამიტომაც გამოიდო თავი, აღარ ვიკრივებო.

მოკლედ, ჩხუბის მომწყობი „შოუთაიმის" ტელეარხი გვარიანად დატანჯა ორივე მხარემ.

ეტიენი ვერაფერი მოკრივეა, თუმცა ფორმაშია და თუ ტაისონი მართლაც უვარგისია, შავ მარტორქას რაღაც შანსი აქვს უპირობო ფავორიტთან, რომელსაც ეტიენის შთამბეჭდავი დამარცხება სჭირდება, რათა ზურგი მოუმაგროს ლენოქს ლუისთან ორთაბრძოლას, საზაფხულოდ რომ დაუგეგმეს.

ასეა თუ ისე, სადაც ტაისონია, იქ კარგა ხანია, იაფი სანახაობის სუნი ტრიალებს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



REUTERS ოკლენდიდან

# კარგ ხასიათზე

უცაბედი ქარები მოსულან ოკლენდის პირას, ჰაურაკის ყურეში. ამას გადაუდია ამერიკის თასისთვის წამოწყებული შეჯიბრი შვეიცარიულ ნავ „ალინგისა“ და „თიმ ნიუ ზილანდს“ შორის. შვეიცარიელთა შკიპერი ერნესტო ბერტარელი კი კარგ ხასიათზეა, მარჯვნივ ცოლ კირსტისთვის გადაუხვევია ხელი, მარცხნივ თავისი დის, დონასთვის. „ალინგი“ 3-0-ს უგებს ზელანდიურ გუნდს.



REUTERS პოტჩეფსტრუმიდან

# საკრიკეტო სურათები

სამხრეთ აფრიკაში გახურებული საკრიკეტო მსოფლიო თასი წვიმისა და სკანდალების თანხლებით მიმდინარეობს. წვიმას ჩაშლის პირად მიუყვანია მსოფლიო ჩემპიონ ავსტრალიისა და ნიდერლანდების შეყრა პოტჩეფსტრუმში, „ვესტ სთედიუმზე“ და ლაბადაში გამოხვეულ პატარა ბიჭებსაც მოუწყენიათ. მეტი ხალისი შეემჩნევა პორტელიზაბეთელ ყმაწვილს, რომელსაც ინგლისის ნაკრების კაპიტან ნასირ ჰუსეინისთვის აურთმევია ავტოგრაფი. ნასიირი კი ისვენებდა ინგლისელებისა და ნამიბიელების შეხვედრაში.



REUTERS პორტ ელიზაბეტიდან

# გაჭრილ გზაზე

ამ თხილამურით ნავალ აღმართ-დაღმართზე თხილამურობის მსოფლიო ჩემპიონის ბედი წყდება. 30 კილომეტრის გზაზე ჩემპიონობა იმან მოიგო, ვინც მხრებიანად ამოზრდილა აღმართზე, ანუ ნორვეგიელმა ტომას ალსგაარდმა. მსოფლიო ჩემპიონატი კი ვალ დი ფემში გახურებულა, კოხტად მოვლილ თოვლის ბილიკებზე.




REUTERS ვალ დი ფემიდან



REUTERS ისტ რეზერფორდიდან

# მოქნევა

„ოტავა სენატორზის“ მეკარე პატრიკ ლალიმმა თავისი ფართო ყვანჯი აუკრა მოზუზუნე შაიბას და ახლა იმას ცდილობს, ხელმეორედაც ჩოგანივით ჰკრას და შორს გასტყორცნოს.



REUTERS ნაბლუსიდან

# მებრძოლი

აბა, პალესტინელს რა ევარჯიშება და განსაკუთრებით ლტოლვილთა ბანაკში, იორდანეს მარცხენა ნაპირზე, ქალაქ ნაბლუსის ახლოს. მაგრამ მუნირ აბუ ქიშქს მტკიცედ გადაუწყვეტია, რომ ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე პალესტინური დროშითავიდეს რინგზე. ამიტომ, ვარჯიშს მაშინაც არ გადადებს, როცა ლტოლვილთა ბანაკში ისრაელის მკაცრი პატრული ჩამოივლის ხოლმე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიქრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყარიშვილიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჩიანი, გიორგი ჯაშიკიძე, კაკო ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგეჩაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbiell.com.ge